ვერცხლისწყალივით მოძრავი ბიჭია გიორგი, ანცი და მოუსვენარი. დღე არ გავა, კლასის დამრიგებელმა მკაცრი ტონით არ უთხრას, ხვალ მშობელს მოიყვან, გიორგი! მეორე დღეს მშობელი მოდის, გიორგისთან ერთად დგას და თავჩადუნული ისმენს კლასის დამრიგებლის დაუსრულებელ მონოლოგს, მეორე გიორგი პირობას დებს, ხვალიდან მაკას კიკინებს არ დავნიკნი, უჩას ჩანთას ქვევით არ გავავსებ, კლასის ჟურნალს არ დავმალავ, ბურთს კლასში კი არა, სკოლის ეზოში, ან სპორტულ დარბაზში ვითამაშებ, გაკვეთილებზე წყნარად ვიჯდები, მასწავლებლების ნერვებზე აღარ ვითამაშებო, მაგრამ მეორე დღეს ისევ ისმის:

– გიორგი, კიკინებზე მექაჩება, მასნ.

– აუუუ, ჩანთაში ქვევები კი არა, ლოდები ჩაუნყვია, მასნ.

– სადაა, გიორგი, კლასის ჟურნალი?

– ფანჯარას მოხვდება ბურთიიი...

– ხვალ მშობელს მოიყვან, გიორგი!

ერთ დღესაც, გიორგისთან ერთად, მასწავლებლის გრძელი მონოლოგის მოსასმენად სკოლაში მამა მივიდა.

– მაკას კიკინების და უჩას ჩანთის გულისთვის მომიყვანე ამხელა კაცი სკოლაში? – საყვედურ-სიმკაცრე გაურია ხმაში სკოლის ეზოდან გამოსულმა მამამ.

გიორგი დუმს.

– ბურთის ხამი ხარ, შეილო?

გიორგი ისევ დუმს.

– იცოდე, მაგ დაუნების გულისთვის მეორედ სკოლაში რომ დამიბარონ, ქამრით აგიჭრელებ გვერდებს!

● ტელევიზორის წინ, სავარძელში მოკალათებული გიორგის მამა უკმაყოფილო სახით უყურებს მორიგ საინფორმაციო გამოსვლებას.

– ამ დაუნების ხელში რომაა ჩავარდნილი ქვეყანა, იმიტომაც ვართ კარგ დღეში...

● – ორჯერ-ორი ოთხია, სამჯერ-სამი – ცხრა, ოთხჯერ-ოთხი რამდენი იქნება გიორგი?

– რამდენი, მამა, და...

– შეილო, შენ დაუნი ხომ არ ხარ?

● – მასნ, გიორგი თმას მანიკნის, – შუა გაკვეთილზე ლამის ტირილით წამოხტა მაკა.

– ევე, ეს გოგო დაუნია, რა გატირებს, დაჯექი, რაა, – არ დააყოვნა პასუხი გიორგიმ...

● – ბავშვებო, გიორგის პატარა დაიკო ჰყავს, – ლილით გამოაცხადა კლასში შესულმა მასწავლებელმა.

● სამზარეულოდან მამის ხმა ისმის:

– დაუნი როგორ უნდა გავზარდო, რა ვუთხრა ხალხს?! სირცხვილით ქუჩაში ვერ გავსულვარ! რატომ არ დაუჯერე ექიმს, რატომ არ დატოვე, რატომ?

დედის ჩუმი, ტირილნარევი მტკიცე ხმა:

– როგორიც უნდა იყოს, ჩემი შვილია. შვილი დედამ უნდა გაზარდოს. ჩემი შვილია! გესმის?

● ორ კვირაზე მეტია გიორგი სკოლაში არ გამოჩენილა.

● – გიორგი, მოდი დეიკო, ნახე რა ლამაზი დაიკო გყავს!

ცრემლი ძლივს გადაყლაპა გიორგიმ:

– ლამაზი?.. დაუნი რომაა?

● საძინებლიდან დის ტირილი მოესმა.

– დევე, ტირის! დედა აბაზანაშია...

– ტირის, დევევე... ტირილი უფრო გაძლიერდა.

საძინებლის კარი ფრთხილად გააღო, ფეხაკრეფით მიუახლოვდა სანოლს. პანანუნა ხელებს უსუსურად აქნევდა და გულამომჯდარი ტიროდა. ცოტა ხანს ჩუმად უყურა დაკვირვებით, მერე, ხელში აიყვანა.

პატარა გაჩუმდა... ცეროდენა თითები გიოს ლოყაზე მოუთათუნა და გაიღიმა. ბიჭმა გულში ჩაიხუტა:

– რა ლამაზი ყოფილხარ... ჩუუ, პატარა, ჩუუუ... ხოო, გიორგი ვარ, შენი ძამიკო, მიცანი?

საძინებლის კარში დედა იდგა და ჩუმად ტიროდა...

ეს ბედნიერების ცრემლები იყო...

● – ევევე, გიო, მოქაჩე, რა რამდენი ხანია, მაგ დაუნის კიკინები არავის გაუნიენია, – თაზომ გიორგის მუჯლუგუნი უთავაზა.

– დაფასთან მიინდა გამოსვლა, მასნ, შეიძლება? – უპასუხო დატოვა თაზოს მუჯლუგუნი გიომ.

– გამოდი...

– შინ პატარა თეკლა მელოდება, ჩემი დაიკო, – ბიჭმა ჯერ მასწავლებელს შეხედა გაბრწყინებული თვალებით, მერე თანაკლასელებს მოავლო მზერა, – ჩემი დაიკო დაუნის სინდრომით დაიბადა და ამ ქვეყნად ყველაზე მეტად მიყვარს...



საქართველო
ახალი საქართველო

„შენ – უკვდავების ჩამონადენი, მშვენიერებას ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელი – ქართული სიტყვა, ქართული სიტყვა“
კარლ ლინკოლინი

უკვდავი პოეზია

თუ არ გჭირდებათ
დაგას და ცივდება ჩემი ფინჯანი,
გულსაც თანდათან სითბო სცილდება,
ღმერთს არ სჭირდება ჩემი პირფარა,
თუ ის პირფარა მე არ მჭირდება...
დუმბილით, ანუ ჟივილ-ხივილით
ბრუნავს სანუთრო, თანაც ბინდდება,
მე არ მჭირდება შენი ღიმილი,
თუ ეგ ღიმილი შენ არ გჭირდება.
წაირეცხება ჭორის გესლები,
როს დაფარული გამოჩინდება,
მე არ მჭირდება ჩემი ლექსები,
თუ ეს ლექსები თქვენ არ გჭირდებათ...

ხელი

ხელი ხელია, – წესით, ხუთი აბია თითი,
ათასგვარი ხელის ძალა და ხელის ტვირთი:
ზოგი ხელია მხოლოდ ყალბი ტაშის დამკვრელი,
ზოგი ხელია ცხელ თონზე პურის დამკვრელი,
მინიანია – მესაფლავის და მინის მხენელის,
სისხლიანი მკვლელის ხელიც, ექიმის ხელიც.
ზოგი ხელიდან მძიმე თვლები ელავს, ციმციმებს,
ზოგი კი, უძლებს ჭეშმარიტი კალმის სიმძიმეს.
ზოგი ხელია ჩამოსაბან ჭუჭყლით მოსვრილი,
ზოგი კი, – გულზე დაკრეფილი, ანუ მოცლილი.
ზოგი ხელია აპყრობილი, ხელი მლოცველი,
ზოგიც – სხვის სულში, ან ჯიბეში ცუდად მცოცველი,
ზოგიც ღირსებით (თანაც – არა თითო-ორიოლა!)
გამონვდილია, მადლობა ღმერთს, სისხლის დონორად!
და ცალკე ითქვას ჩუქურთმათა ღვთიურ მკვეთელზე, –
ვიციტ ჩვენ ხელი სვეტიცხოვლის დიად კედელზე,
ერთი ბომონის – ხელოვნების – მხოლოდ მორჩილი,
ჩვენ ვიციტ ხელი, დიდებული ხელი მოჭრილი!
ხელზე ათასი, შეიძლება, მოვთვალოთ მითი,
ხელი ხელია, წესით, ხუთი აბია თითი...

შვილიშვილი

შენს სუნთქვაში ჩემი სუნთქვის
მეოთხედი ურევია,
შენთან ერთად ჩემი გენი
უკვდავი და უღვია!
შენს ღიმილში, ცხადად ვხედავ,
ღიმილია მამაჩემის,
ალბათ, – მისი მამისაც და
სხვა რამდენი დანარჩენის...
შენს ტირილში დედაჩემის
დედის დედის ცრემლებია,
სწორედ, სწორედ ეგ ცრემლები
შენი სულის მცველებია.
ნუ მოშლოდეს სისარულად,
რაც ბოლო დროს არ მეშვება –
ჩემს ოთახში ყვირალივით
შენი შემოთარეშება!
ნეტარება – სრულყოფილად,
არა – პატარ-პატარებად –
შენი ძილის ყარაულში
თეთრად ღამის გატარება!
წყაროვ, უთქმელ სიამისა,
საგანძურო, შე სადავო,
ულამაზეს დედისა და
ლამაზ მამის შესართავო!
რამდენს გვიცხად შენი სითბო,
ციცქნა მხარი ვიგრძნოთ მხარში!
ისე ვატყობ, ცარცის წრეში
ჩაგაყენებ ცოტა ხანში!
ცოცხალ რიგში გელოდებით,
რა სიტკბოსაც შენ არიგებ,
სიბერესთან(!), სიკვდილთანაც(!),
ყველაფერთან შემარიგე!
შენს ძარღვებში უხსოვარი
წინაპრების წვეთი არი,
უსასრულო ყოფილიყოს
ემაგ წვეთის ხეტიალი!

● ტკივილით შენით გათავადე,
გავცოცხლდე შენი ძახილით,
ფეთქავდეს გულში ვადამდე
ჩაჭედებული მახვილი...
დაჭრილი ვარ და სისხლი მდის,
საშველი თუა, უჩქარეთ! –
რაც კი მჭრის, ყველა გულში მჭრის,
ერთიც არა მჭრის გულს გარეთ!

წიგნიდან „სიბრძნე სიურჩისა“

არ სურსაბეზრად

ვითა ცხენსა, ნაპარავსა
არარსებულს შერეგია არსებული
და წარსულის უფსკრულში დანთქმულა,
იყო ქვეყნად სიყვარულით საესე გული,
რომელ ზედაც არაფერი არ თქმულა...
თითქმის ცხადი, მაგრამ მაინც შეფარული
(და დღეები გადიოდნენ ზღაპრულად...),
იყო ქვეყნად ერთი კარგი სიყვარული,
რომელ ზედაც არაფერი არ თქმულა...
ლექსებად და რომანებად დაწყობილა,
ვიღებებად და სპექტაკლებად დადგმულა,
მე მაფიქრებს ის ვნებები, რაც ყოფილა
და რაზედაც არაფერი არ თქმულა...
დაღვია სიტყვა ენას, სიტყვაულევს
და სიჩუმეც საყვედურად გაისმის,
ეს ცრემლები – იმ საოცარ სიყვარულებს,
რომლებზედაც არაფერი არ ითქმის...
და ჩვენს ირგვლივ სუფევს ჩუმი სინანული,
ან მუსიკის, ან ფერების, ან რითმის,
რომ ამქვეყნად არის ბევრი სიყვარული,
რომლებზედაც არაფერი არ ითქმის...

ეპიტაფია

ამ ქვამდე ისე მოვედი,
დავტოვე ოთხი კვალი:
1). ჩაფიქრებული პოეტის,
2). გაღიმებული ქალის,
3) გაღიმებული პოეტის,
4) ჩაფიქრებული ქალის...



ლომი

ჩემი საფარი შენ ხარ კედელი,
მე კი, რა გითხრა, ისიც არ ვიცი...
მე შენი ფიცხი ვარ მუშკეტერი
და არა – შენი დიასახლისი.
არ მიყვარს სროლა – ქარს მინდობილი
და არც დუელი – გადადებული,
არ არის ბედი ჩემი დობილი –
ლომის თვეში ვარ დაბადებული.
ემოციები ისე მმართავენ,
როგორც წყნარ ზღვაში ხომალდს – მესაჭე,
არ იქნებოდა ღმერთი მართალი,
მშვიდი ბუნებით რომ დავესაჯე...
გჭირდება, როგორც ოთახს – კედელი,
გჭირდება, როგორც გუთანს – სახნისი,
მე კი ქალი ვარ და მუშკეტერი
და არა – შენი დიასახლისი...

აპოკრიფების ვაგონი

მიყვარს ყველა და მიყვარს დენთი
და არ მივტოვებ დროს მანქანებს,
რადგან თუ მომკლავს სიკვდილი ერთი,
მეორე თითსაც ვერ დამაკარებს!
არ დადგა ჩემგან შემკრთალი ნუკრი,
არც – სიყვარულის მშვიდი მსახური
და არ მადარდებს, ამქვეყნად თუკი
მოვედი გონჯი და უსახური.
მოსარული ვარ, რომ გრიგალისგან
ზურგით არასდროს შევტრიალდები.
მოსარული ვარ, რომ დედამინას
თავგარანიც ვეპრიანები!
რომ ცისქვეშეთში სულ ხიფათს ვეძებ,
რომ ბედისწერას არ ვეხუმრები,
რომ პოეზიის ციცაბო კლდეზე
უნდა ამოვჭრა საფეხურები...

მე არ ვარ ევა

მე არ ვარ ევა, თუმცა ვარ ქალი,
შენს თვალში, ალბათ, ესეც ნაკლია:
გაჩენის დღიდან მაქვს შენი ვალი –
შენ ხომ ჩემს გამო ნეკნი გაკლია!
ხუმრობა – იქით, შენ შეგიყვარდა,
მოცილებული შენს სხეულს ძვალი,
ყველა ნეკნს დათმობ იმ ერთის გარდა,
რომელსაც ღმერთმა უნოდა „ქალი“!

ძველ ნაცნობს!

ავუჩქარე ნაბიჯებს
ღვთის და კაცის შენგვნი,
ვიცი, კიდევ გამისწრებ,
ოლონდ ვერ დამენვეი.
ზოგჯერ მარშით მივიდვარ,
ზოგჯერ კიდევ ვეცემი,
უსათუოდ გამისწრებ,
თუმცა ვერ დამენვეი.
ვიცი, სანთლით დამეძებ
და ხელების ცეცებით,
კი ბატონო, გამისწრებ,
მაგრამ ვერ დამენვეი!

მე და შენ

მე – სიფრიფანა პოეტი ქალი,
შენ – გოლიათი ჩემგან ძლეული...
შენ თუ თვლი, რომ შენ დამადგი თვალი,
ცდები: თვითონ ხარ ჩემი რჩეული!
ფერად სათვალთ მე არ გიყურებ,
არც შენ გაქვს, ალბათ, ჯადოქრის ჯოხი,
მოდი და მხრებით გადამხსურე
დიდი იმედის პატარა ქოხი!
მე ვარ ტკივილი – მცირე და დიდი,
მე ვარ შენს ირგვლივ – ახლოც და შორიც,
მე დაგრთე ნება, რომ იყო ხიდი,
ჩემს ზამთარსა და გაზაფხულს შორის.
შენ თავს მეველები სუსტსა და ძლიერს,
შენ მძლეთამძლე და მაინც ძლეული...
შენ რომ გგონია, შენ ამირჩიე,
თვითონ ბრძანდები ჩემი რჩეული!

არაკორუმირებულ კონსულთან

(იუმორესკა)
რომ არ დაგრჩეს: გახუჭურაზე
კერძი – გასაცხელებელი,
ვილაც – მისავინ ყებელი,
ზოგიც – გასახსენებელი,
ლექსი – დასამთავრებელი,
ცხენი – გასაჭენებელი,
ენა – დასამოკლებელი,
ჭკუა – დასაძმებელი,
ბავშვი – დასაძინებელი,
ჭორი – გასავრცელებელი,
მიქელ-გაბრიელთან არი
ვიზა გასაგრძელებელი!

ტკივილის შვედვა


ცრემლი ჩემი მელანია,
სიყვარული – კალამი,
ბედი ფიცხი მერანია,
მე კი მივდექ ქალამნით...
ცრემლის მელნით ღებავს ფიქალს
პოეზიის ქურუმი,
სევდის სველი სახლი მიდგას –
წვივით გადახურული.
სიხარული დამიძვირდა,
ჩემთვის აღარ მოცდება,
ვით საპალნე – დამიმძიმდა
სანუკვარი ოცნება.
სული როგორ გადარჩება? –
სულში გველი მოძვრება,
ვაი, როგორ არმად მრჩება
ძველი სწავლა-მოძღვრება!..
ბედისწერა ელაპია –
სხვისკენ მიაქვს ალაპია...
სული ჩემი მელანია,
გული ჩემი – კალამი...
ვით დამწვარზე – შენაბერი,
ფიქრი მოდის წამიდან:
რაც დამთავრდა, ყველაფერი
დაიწყება თავიდან...

ალსარება

ვერაფრით შევძლებ, ისე რთულია
მუქი ფერების გალიაგება,
ალსარება ხომ სინანულია
და არა – ოდენ აღიარება...
სხეულში ფიქრი დაიარება,
პირველი ცოდვის სადარად ძველი:
რა ადვილია აღიარება
და სინანული – რაირიგად ძნელი!

მონატრება – დიდი

(ისევ მურმანს)
უკითხავად დროისა და ამინდის
მოვიდა და გამოფანტა ბინდი,
მონატრება მოვიდა და არ მიდის,
მონატრება – დიდი, დიდი, დიდი...
ეს სოფელი – თან ბრძენი და გულუხვი,
ეს სოფელი – თან ფუჭი და ფლიდი,
ეს სოფელი, ვით თამადა – ალავერდს,
შხამის თასებს განვდიდებ და... ცლიდი.
იყო ჭლეტი, შორი იყო კერია,
თუმც სიკვდილის არ ყოფილა რიდი,
ლექსს მაშინაც სიყვარული ერია,
როს კბილებში სისხლთან ერთად სცრიდი...
მელნისაგან დაცლილ კალმებს ისე, ვით
მაუზერში – ნასროლ ვაზნებს, ცვლიდი
და ვნებების მოქცევით და მიქცევით
სიძულვილის ნაფხურებს შლიდი.
არც ცხოვრება გინატრია მშვიდი,
არც გულისთვის გიჯობნია გონებით,
არც ცხოვრება გინატრია მშვიდი,
ომებით და ომებით და ომებით
არ მოლლილა მოზიდული მშვიდი.
მტერს უტევდი თუ შეილს ღამეს უთევდი,
თუ საკუთარ მაჯისცემას თვლიდი,
პოეზიის თვალმუდგამ კოშკისთვის
ლექსის თიხას ქვიშისაგან ცრიდი...
უკითხავად დროისა და ამინდის
მოვიდა და გამოფანტა ბინდი,
მონატრება მოვიდა და არ მიდის,
მონატრება – დიდი...



ლექსიკონი. სკანდალური ამსკლუზივი

„შენ – უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც სომ შენით იტყვა; დიდება შენდა, ჩემო ნათელი – ქართული სიტყვა, ქართული სიტყვა“

ვიკტორ ჯორჯაძე

სკანდალური ამსკლუზივი

გივი თარბაძემ მიუხა „ჩაუშვა“?

„მთელი ცხოვრება რუსულ სპეცსამსახურებს ვებრძვი. კონტრდაზვერვიდან სწორედ ამიტომ გამიშვეს – „ნაციონალები“ რომ მოვიდნენ, ღიად ვთქვი, პრორუსები არიან-მეთქი. ვაღიარებ: ამის თქმა შეცდომა იყო“, – ასე დაიწყო უშიშროების თადარიგის პოლკოვნიკმა, უსაფრთხოების ექსპერტმა კონსტანტინე ფორჩხიძემ „ქართულ სიტყვასთან“ 56-ე ინტერვიუ. მოგვიანებით, როცა სიტყვა შს-დან ინფორმაციის გაფრთხილება ჩამოვარდა, ქართველმა სპეცსამსახურებმა რიტორიკულად იკითხა: „ვინ მაძლევს გარანტიას, რომ ჩვენი ძალოვანი უწყებებიდან ქვეყნისთვის მნიშვნელოვანი ცნობები უცხოეთის სპეცსამსახურების ხელში არ ხვდება?“ სხვათა შორის, ფორჩხიძე, რომელსაც უშიშროების ეროვნულ სისტემაში მუშაობის დიდი გამოცდილება აქვს, მიანიშნებს, რომ სოციოლოგიური კვლევა, რომელსაც სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაცია პერიოდულად ატარებს, გარკვეულწილად, ერთი ქვეყნის მიერ მეორის ტერიტორიაზე წარმოებული ლეგალური სადაზვერვო საქმიანობაა... მოკლედ, რას ემსახურება არჩევნებამდე ლამის ორი წლით ადრე „აი-რა-ი“-ს პოლიტიკური რეიტინგების გამოკვლევა, რა დადანიშნულია მიიღოს თეთრმა სახლმა ირაკლი ალასანიამ და „ჩაუშვა“ თუ არა გივი თარბაძემ მიხეილ სააკაშვილი? – „ქართული სიტყვა“ კონსტანტინე ფორჩხიძის მორიგ სკანდალურ პოლიტიკურ ანალიზს წარმოგიდგენთ.

– ბატონო კოტე, არჩევნებამდე ლამის ორი წლით ადრე რეიტინგების გამოკვლევა უცნაურად არ გეჩვენება?

– კი, ცოტა უცნაურია, მაგრამ ამის ახსნა ქვეყანაში შექმნილი სიტუაციით შეიძლება, ანუ რეიტინგების გამოკვლევებამ პოლიტიკურ წრეებს უფრო მეტი საფუძველი მისცა, რომ აქცენტები პოლიტიკურ კი არა, სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობაზე გააკეთონ. მოკლედ, ამ კვლევით, ირიბად, იმის დემონსტრირება მოხდა, რომ ხელისუფლების მიმართ მოსახლეობის ნდობა კლებულობს, რადგან ეკონომიკურ, სოციალურ თუ სხვა გამოწვევებს ვერ უმკლავდება.

– ობიექტურად თუ ვიმსჯელებთ, მსგავსი პრობლემები, ხელისუფლების შეცვლის დროს, ყველა ქვეყანაში ჩნდება. შესაბამისად, „ოცნება“ გარკვეულწილად მართალია, როცა თავს ობიექტური საშინაო თუ საგარეო ფაქტორებით იმართლებს, თუმცა საინტერესოა, უცხოური კომპანიები კვლევების ჩატარებით რას ხეირობენ?

– სპეცსამსახურების სადაზვერვო საქმიანობა კვლევებს ეფუძნება.

– ესე იგი, საზოგადოებრივი აზრის კვლევა სადაზვერვო საქმიანობის ნაირსახეობაა?

– დიას, ოღონდ ყველაფერ ამას ლეგალური სახე აქვს.

– კვლევებს ვინ აფინანსებს?

– მაგალითად, „აი-რა-ი“-ს ცენტრალური ოფისი ნაწილობრივ აშშ-ის სახელმწიფო ბიუჯეტიდან ფინანსდება, ნაწილობრივ კი, როგორც არასამთავრობო ორგანიზაცია, შემოწმებულია და დახმარების ხარჯზე არსებობს.

– „აი-რა-ი“ კვლევებს აშშ-შიც ატარებს?

– რა თქმა უნდა.

საერთოდ, კვლევა მხოლოდ პოლიტიკური ასპექტებით არ შემოიფარგლება. ასეთი ორგანიზაციები კვლევებს ბიზნესექტორისთვისაც ატარებენ და ფულს სწორედ ასე შოულობენ...

სხვათა შორის, „აი-რა-ი“-ს იმ კვლევას, რომელიც ახლახან გახდა ცნობილი, მხოლოდ საშინაო კი არა, საგარეო დანიშნულებაც აქვს.

– რას გულისხმობთ?

– ამ კვლევას ანგარიშს საქართველოს არაკეთილმოხურენ სახელმწიფოებაც უწევენ...

ვანო, კვლევის გამოკვლევებამდე, თუ გახსოვთ, ერთ-ერთ ინტერვიუში გითხარით, „ქართული ოცნების“ რეიტინგი 40 პროცენტის ფარგლებში მერყეობს-მეთქი და ასეცაა – „აი-რა-ი“-ს მონაცემებით, „ოცნების“ რეიტინგი 36%-ია.

– „ოცნების“ მომხრეები ამ შედეგს გაყალბებულს უწოდებენ...

– ცდომილება, რა თქმა უნდა, იქნება, მაგრამ ისე არაა, რომ „ოცნებას“ 56 პროცენტი ჰქონდეს და „აი-რა-ი“-ს 36 დაენერა – ამის შანსი არ არსებობს. შეუიარაღებელი თვალთვალს ჩანს, რომ „ოცნების“ რეიტინგი კლებულობს და თუ არაფერი შეიცვალა, ამ კვლების შეჩერება შეუძლებელი გახდება. ამ კონტექსტში იგივე თემას ვუბრუნდები, რაზეც წინა ინტერვიუში ვისაუბრე.

– მაჟორიტარული სისტემის შესაძლო გაუქმებას გულისხმობთ?

– დიას. საქართველოში, დამოუკიდებ-

ცნობილ ანტინატორულ განცხადებას მხოლოდ ამის შემდეგ გაემიჯნა. ეს მინიშნება ხომ არაა, რომ „ოცნებაში“ გარკვეული გადათამაშება მოხდება?

– რა თქმა უნდა, მოხდება... „ოცნებაში“ ის პროცესები დაიწყო, რომელზეც სამიოთხი თვის წინ ვლაპარაკობდი. სახეზეა ახალი პოლიტიკური ცენტრის ფორმირება.

– ანუ, მესამე ძალის?

– არა. უბრალოდ, როგორც საკანონმდებლო ორგანოში, ასევე, მის გარეთ, მკვეთრად დაპირისპირებული პოლიტიკური ძალები თანამშრომლობას დაიწყებენ. აქ ძირითადად პროდასავლურ ძალებზეა ლაპარაკი.

– ეს გასაგებია, მაგრამ თქვენი ინფორმაციით, „ოცნებაში“ მიმდინარე კულუარუ-

ბს. ამავე ჯგუფშია ბრიუს ჯექსონიც, რომელზეც ადრე გითხარით.

– ბრიუს ჯექსონი, როგორც ადრე თქვით, გიგა ბოკერიას მფარველია, მაკეინი კი, სააკაშვილის ახლობელია – მიზა, როგორც ამბობენ, ბიძას ეძახის...

– კი ბატონო, მაგრამ არ დაგვაიწყნევდეს, რომ აშშ-ში „რესპუბლიკელების“ დრო დგება და ეს კვლევაც სწორედ ამ კუთხითაა საინტერესო.

– ბატონო კოტე, მოდით, პირდაპირ თქვით, საუბარი საითკენ მიგყავთ?

– თეთრი სახლი აქცენტს ირაკლი ალასანიამ აკეთებს.

– ამის არგუმენტი გაქვთ?

– მეტი არგუმენტი რაღა გინდათ, როცა შემოხსენებულ კვლევაში მიხეილ სააკაშვილი არ ფიგურირებს, არადა, პარტიის თავმჯდომარეა.

– არ დაგვიწყნედოთ: სააკაშვილზე სისხლის სამართლის საქმეებია აღძრული და მასზე შიდა ძენბანაა გამოცხადებული...

– მერე, რა?! პარტიის თავმჯდომარეა და, წესით და რიგით, რეიტინგში უნდა მოხვედრილიყო.

– სამაგიეროდ, კვლევაში დავით ბაქრაძე მოხვდა...

– ყველაფერი ეს იმის მაჩვენებელია, რომ მიხეილ სააკაშვილი თავისმა მფარველებმა, ანუ „რესპუბლიკელების“ ნეოკონსერვატიულმა ფრთამ თანაშიდან გაიყვანა, რაც იმის ნიშანია, რომ საქართველოში ახალი პოლიტიკური რეალობა შეიქმნება!

– ბატონო კოტე, ე.წ. „კაბელების საქმის“ გააქტიურება და ირაკლი ალასანიას განცხადება, რომ ექსპერტზე, რომელმაც დასკვნას ხელი არ მოაწერა, ზენოლა განხორციელდა, ამ კვლევის კონტექსტში უნდა განვიხილოთ?

– ნებისმიერი ასეთი დაპირისპირება დაპირისპირებაში მონაწილე ძალების რეიტინგზე მუშაობს. მე თუ მკითხავთ, თუკი პოლიტიკური დევნა დაიწყება, ამით ირაკლი ალასანია არ წააგებს, პირიქით, მისი რეიტინგი გაიზრდება.

– მაშასადამე, როგორც ანალიტიკოსი, ელოდებით, ირაკლი ალასანიას წინააღმდეგ შესაძლოა, სისხლის სამართლებრივი დევნა დაიწყოს?

– გამოსარიცხი არაფერია.

– თქვენი ინფორმაციით, „ოცნება“ ირაკლი ალასანიას მიმართ რამე სერიოზულს გეგმავს?

– „ოცნება“ აცნობიერებს, რომ ალასანიას მზარდი რეიტინგი აქვს...

– ჩვენი დარჩეს და, ირაკლი ღარიბაშვილი აღიარებს, რომ რამდენიმე მინისტრის მუშაობით უკმაყოფილოა „ოცნებამ“ რეიტინგი როგორ უნდა „ამოქაჩოს“?

– „ოცნების“ რეიტინგი მაშინ „ამოქაჩება“, თუკი ღარიბაშვილისა და ივანიშვილის პოლიტიკური შეხედულებები ერთმანეთს დაემთხვევა.

რაც შეეხება პრემიერის უკმაყოფილებას, ვფიქრობ, რომ ეკონომიკური გუნდის მინისტრებს გაუშვებენ.

ვანო, თუ გახსოვთ, ჯერ კიდევ ერთი წლის წინ გითხარით, რომ შს მინისტრი ვახტანგ გომელაური გახდებოდა. დღეს ძალოვანი უწყების ხელმძღვანელი სწორედ გომელაურია. ჩემი ინფორმაციით, მალე თანამდებობებს ნოდარ ხადური, გიორგი კვირიკაშვილი, ასევე, ინფრასტრუქტურის მინისტრი დატოვებს. მაქვს ინფორმაცია, რომ ლაპარაკია კულტურისა და სპორტის მინისტრების შეცვლაზეც.

– ესე იგი, თქვენი გამოთვლით, კონსტანტინე ბატონო, უსამსახუროდ მთავრობის ხუთი წევრი დარჩება, არა?

– დიას.

– ხუთი მინისტრის შეცვლას, ავტომატურად, მთავრობისთვის პარლამენტის მხრიდან ნდობის გამოცხადება უნდა მოჰყვეს...

– ასეა...

– უცნაურად არ გეჩვენებათ, რომ სწორედ მაშინ, როცა კულუარებში ხუთი მინი-

„ასეთი საქმიანობა პატრიარქისა და წმინდა სინოდის მხრიდან ნორმალურად არ იქნება აღქმული. როცა ანაფორა გაცვია და აბოკო, ბერი ვარო, მიუხედავად იმისა, რომ პენსიაზე გახვედი, გაინც ეპლსინასთან ასოცირდები. მოკლედ, სასულიერო პირის მხრიდან ასეთი განცხადება არასასურველია და, მეტიც, დესტაბილიზაციის ნიშნავს შეიცავს. დღეს ეკონომიკური და სოციალური გამოწვევების წინაშე მდგარ ქვეყანას დესტაბილიზაცია კი არა, სტაბილურობა სჭირდება!“



„თეთრი სახლი აქცენტს ირაკლი ალასანიამ აკეთებს“.

ლობის აღდგენის დღიდან, პარტოკრატული მმართველობაა, მაჟორიტარული სისტემის გაუქმება კი, ამ პარტოკრატის კიდევ უფრო გამაყარებს. სხვათა შორის, ქვეყანა სწორედ ამ პარტოკრატული მმართველობამ დააღუპა და ამ სტაგნაციამაც ამიტომ ვართ – ხელისუფლებაში ხალხის მონაწილეობა მკვეთრად შეზღუდულია. მოკლედ, თუკი საკანონმდებლო ხელისუფლებას მაჟორიტარული სეგმენტი გამოაკლდება, უარეს სიტუაციაში აღმოჩნდებით...

„აი-რა-ი“-მ რესპონდენტებს ჰკითხა, დღეს რომ არჩევნები იყოს, ხმას რომელ პოლიტიკურ ძალას მისცემდითო. შედეგები ასეთია: 36 პროცენტი ხმას „ქართულ ოცნებას“ აძლევს, 5-5 პროცენტი – „პატრიოტთა ალიანსსა“ და ბურჯანაძის პარტიას, 10 პროცენტი – „თავისუფალ დემოკრატებს“, 14 პროცენტი კი – „ნაცმოძრაობას“. ამ კონფიგურაციით, „ქართულ ოცნებას“ უმრავლესობა აღარ აქვს. ამიტომ, ეს კვლევა ხელისუფლებისთვის საგანგაშო უნდა იყოს!

– ხელისუფლება კვლევებს არ ენდობა. ყოველ შემთხვევაში, პრემიერმა პირდაპირ თქვა, კვლევები უსაქმურების საქმეაო...

– ეს, მინიმუმ, არასწორი ნათქვამია, რადგან კვლევებს, მით უმეტეს, თუ მას გავლენიანი საერთაშორისო ინსტიტუტი ატარებს, პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს.

– სხვათა შორის, „აი-რა-ი“-ს ზემოხსენებული კვლევით, გამოკითხულთა 79 პროცენტი საქართველოს ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის მომხრეა. ნიშანდობლივია, რომ პრემიერი გოგი თოფაძის

ლი ომი კულმინაციას აღწევს?

– დიას. სხვათა შორის, კულუარული ომი ამ რეიტინგებით უფრო გაღვივდება. ისე, სიმართლე რომ გითხარათ, „თავისუფალ დემოკრატებს“ უფრო მაღალი რეიტინგი აქვთ, ვიდრე „აი-რა-ი“-ს კვლევაშია დაფიქსირებული, მაგრამ ირაკლი ალასანიას გუნდს 2-3 პროცენტი კონიუნქტურის გამო დააკლეს.

– რომელ კონიუნქტურას გულისხმობთ?

– „ნაცმოძრაობას“ იმ ორგანიზაციაზე, რომელიც „აი-რა-ი“-სთვის საქართველოში ე.წ. საველე სამუშაოებს ატარებს, გარკვეული გავლენა აქვს.

– აქცენტს გონა ცქიტვილიზე აკეთებთ?

– დიას – ამ თემაზე ადრე დეტალურად ვილაპარაკეთ.

– სხვათა შორის, ირმა ინაშვილი გონა ცქიტვილის პასუხისგებაში მიცემას ითხოვს...

– მოკლედ, „აი-რა-ი“-ს კვლევა მონაწილეს, რომ საქართველოში მდგომარეობა თავად აშშ-მაც გადააფასა. ეს მესიჯი „ნაციონალებისთვისაა“, ანუ ამერიკელები „ნაცმოძრაობას“ იმ პოლიტიკურ ძალად აღარ თვლიან, რომელიც ხელისუფლებაში შეიძლება, დამოუკიდებლად მოვიდეს. ამასთან, „აი-რა-ი“-ს კვლევა „რესპუბლიკელების“ განწყობაზეც მიანიშნებს.

– ამას რის საფუძველზე ამბობთ?

– „აი-რა-ი“-ს, როგორც ვიცი, „რესპუბლიკელების“ მაკეინის ფრთა აკონტროლებ-



საქართველოს პარლამენტი
საგარეო ურთიერთობების კომიტეტი

„შენ – უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელი – ქართული სიტყვავე, ქართული სიტყვავე“

კარგა კარგა

საანდალური ემსკლუზივი

მე-8 გვირგვინი

სტრის შეცვლაზე ლაპარაკობენ, „ნაციონალები“ პარლამენტში მთავრობის იმპიჩმენტის პროცედურას იწყებენ?

– ვანო, შემთხვევით პოლიტიკაში კი არა, ცხოვრებაშიც არაფერი ხდება და ის, რასაც ჩვენ შემთხვევითობას ვეძახით, აბსოლუტური კანონზომიერებაა. ისე, თუ საქმე მთავრობის შეცვლაზე მივა, მაშინ სახეზე იქნება სახელისუფლებო კრიზისი, რომელიც შესაძლოა, პოლიტიკურ კრიზისში გადავიდეს და ყველაფერი ვადადელი საპარლამენტო არჩევნებით დამთავრდეს. ასეთ სიტუაციაში, ხელისუფლება იძულებული გახდება, თავისი საქმიანობა გამოსწოროს.

– თუკი საქმიანობის გამოსწორებაში პოლიტიკის წარმოჩენას გულისხმობთ, იმეხებთ, ბატონო, – პრემიერი გამოვიდა ინიციატივით, რომ აპრილიდან იმ 105 სანარმოში, რომელიც „ოცნების“ დროს გაიხსნა, მედიატორები მოეწყოს...

– სხვა საკითხია, ეს სანარმოები რეალურად არსებობს თუ არა, მაგრამ პრემიერის ინიციატივა, თავისთავად, კარგია...

– ...ერთი სიტყვით, „ოცნებაში“ დიდი ომია?

– დიახ. ომი რომ არ იყოს, დღის წესრიგში პარტიის გადახალისება არ დადგებოდა, მაგრამ ეს, ასე ვთქვათ, მენეჯმენტური ცვლილება დაგვიანებულია. „ოცნებას“ „ახალი სისხლი“ აქამდე უნდა გადაეხსნა, თუმცა ძნელი სათქმელია, „ახალი სისხლი“ იმ გამონაკვეთს, რომელთა წინაშეც „ოცნება“ დგას, რამდენად უპასუხებს. სხვათა შორის, საინტერესოა, სახელისუფლებო პარტიაში კადრებს ვინ არჩევს, ანუ ახალ კადრებს პროფესიონალიზმის ნიშნით არჩევენ თუ მეგობრობა-ნათესაობის კუთხით. თუ ნათესაობის თემა ისევე აქტუალურია, „ოცნებას“ „ახალი სისხლიც“ ვერ უშველის და უარეს შედეგს მიიღებს!

– ამასობაში, ბატონო კოტე, ახალი მოვლენის მონაწილე ვხდებით – სასულიერო პირის სამოქალაქო თუ პოლიტიკურ მოძრაობას ქმნის...

– ვანო, ამ თემაზე ადრეც ვილაპარაკეთ და ახლაც ვიმეორებ: ასეთი საქმიანობა პატრიარქისა და წმინდა სინოდის მხრიდან ნორმალურად არ იქნება აღქმული. როცა ანაფორა გაცვია და ამბობ, ბერი ვარო, მიუხედავად იმისა, რომ პენსიაზე გახვედი, მაინც ეკლესიასთან ასოცირდები. მოკლედ, სასულიერო პირის მხრიდან ასეთი განცხადება არასასურველია და, მეტიც, დესტაბილიზაციის ნიშნებს შეიცავს. დღეს ეკონომიკური და სოციალური გამოწვევების წინაშე უმდარ ქვეყანას დესტაბილიზაცია კი არა, სტაბილურობა სჭირდება!

– დესტაბილიზაციის მიზანი რა არის?

– ყველაფერი, მათ შორის, რაღაც იდეოლოგიურ საფუძველზე ახალი ორგანიზაციების შექმნა, ხელისუფლებისთვის ბრძოლას უკავშირდება. თუკი რომელიმე იდეოლოგიის დამარცხება გინდა, საამისოდ სხვადასხვა საშუალება არსებობს...

– ე.წ. იდეოლოგიური ორგანიზაციების შექმნა სპეცსამსახურების ხელნერაა?

– რა თქმა უნდა.

– ისე, სიმართლე რომ ვთქვათ, ლგბტ პირები მხოლოდ საქართველოში კი არა, მთელ მსოფლიოში ყოველთვის იყვნენ და მომავალშიც იქნებიან, მაგრამ მათი ძალით დათრგუნვის მცდელობას შეიძლება, უარესი ძალმომრეობა და დაპირისპირება მოჰყვეს, რაც ქვეყანას ნამდვილად არ წაადგება. ბოლოს და ბოლოს, ბიბლიის ეპიზოდი გავიხსენოთ, როცა ხალხი მსუბუქი ყოფაქცევების ქალს ქოლავდა, ქრისტემ თქვა, ქვა იმან ესროლოს, ვინც ამ ქალზე უცოდველიაო. ყველა სასულიერო პირი ამ ლოგიკით უნდა მოქმედებდეს...

– სხვათა შორის, ყურადღება თუ მიაქციეთ, სასულიერო პირმა, რომელიც ახალ ორგანიზაციას ქმნის, ხაზგასმით აღნიშნა, რომ ლარიბაშვილს, კალაძესა თუ ნარმანიას დიდ პატივს სცემს. თუკი ამ ახალი ორგანიზაციის სახელით რაიმე მოხდება, ეს, ცხადია, ხელისუფლებასთან ასოცირდება. ამიტომ, პოლიტიკურ ავანსცენაზე ასეთი თამაშებით შემოსვლა შუღლს აღვივებს და, პირველ რიგში, ეკლესიის იმიჯს ურტყამს. ეს ყველაფერი – ვისაც ანაფორა აცვია ან არ აც-



ვია, უნდა გაითვალისწინოს...

– ყველაფერზე უმთავრესი ფონზე, მგონი, ნიშანდობლივია, რომ გივი თარგამაძე დაკითხვაზე დაიბარეს...

– ამით გივი თარგამაძეს პირი გაუკეთეს.

– ამას რატომ ამბობთ?

– თარგამაძეს არაერთი დანაშაული აქვს ჩადენილი...

– ეს პირობები ნათქვამია...

– როგორ გეკადრებათ! წელიწადზე მეტია, იარაღით უკანონო ვაჭრობაზე ვლაპარაკობ. მაშინ ნდობის ჯგუფის ხელმძღვანელი გივი თარგამაძე იყო, სახელმწიფო შესყიდვები კი, ნდობის ჯგუფის გარეშე არ ხორციელდებოდა. ამიტომ, გივი თარგამაძე დაკითხვაზე ახლა კი არა, კარგა ხნის წინ უნდა დაეპირებინათ და მთელი მისი საქმიანობა შეესწავლათ, მაგრამ „ოცნებამ“ არ იცის, სისტემური დანაშაული როგორ გამოკვეთოს. ამიტომაც, ის, რასაც პროკურატურა აკეთებს, ჩვეულებრივი პინკ-პონკია! მნიშვნელობა არ აქვს, შსს-დან ინფორმაცია გივი თარგამაძესთან მიდის, პეტრესა თუ პავლესთან. შსს-დან ინფორმაციის გაფორმება იმას ნიშნავს, რომ უწყებაში ყველაფერი რიგზე არაა. საიდან ვართ დარწმუნებული, რომ შსს-დან უფრო მნიშვნელოვანი ინფორმაცია რომელიმე ქვეყნის სპეცსამსახურსაც არ მიენოვდება? წესით, შსს-ს ხელმძღვანელობა განგამის ზარები უნდა შემოკრას.

– მაქვს ინფორმაცია, რომ პოლიციაში მნიშვნელოვანი რეფორმები დაიწყეს...

– ბატონო კოტე, ამ თემაზე ნინო ინტერვიუშიც ვისაუბრებო...

– ვიცი, მაგრამ ჯერ ერთი, გამოვრება ცოდნის დედა. მეორეც, წელანაც ვიკითხე და ახლაც ვკითხულობ, იქნებ, ვინმემ მიპასუხოს, რა გარანტია არსებობს, რომ შსს-დან ინფორმაცია ქვეყნის ფარგლებს გარეთაც არ გადის?

– საქართველოს ფარგლებს გარეთ, მაინც, რა ინფორმაცია შეიძლება გავიდეს?

– ვთქვათ, რომელ ობიექტებზე მუშაობს დაზვერვა. შეიძლება, შსს-დან ინფორმაცია შპიონაჟის კუთხითაც ჟონავს. მოკლედ, ეს ძალიან რთული თემაა და სასწრაფო ნაბიჯები უნდა გადაიდგას, რომ ყველაფერი სისტემაში მოვიდეს.

– წელან უნდა მეკითხა და დამავინცდა: „აი-რა-ის“ კვლევას „ნაციონალების“ მიტინგი უძღვოდა, რომლის მთავარი მოთხოვნაც მთავრობის გადადგომა იყო. ეს ორი, ასე ვთქვათ, მოვლენა ერთმანეთთან კავშირშია?

– ამას ვერ ვიტყვი, მაგრამ კვლევა და გვანახა, რომ მმართველი კოალიციის რეიტინგი ეცემა და ამ დაცემას უკვე ტენდენციის სახე აქვს.

– სხვათა შორის, ასეთი კვლევების ერთ-ერთი მიზანი ხალხზე ფსიქოლოგიური ზემოქმედებაა...

ჩვენში დარჩეს და, „აი-რა-ის“ კვლევამ „ქართულ ოცნებას“ შესაძლოა, ხელ-ფეხი გაუხსნას და მიხეილ სააკაშვილის წინააღმდეგ სისხლის სამართლის დევნა უფრო გაშალოს.

– სააკაშვილის დაკავება „ოცნების“ რეიტინგს „აქაჩავს“?

– რა თქმა უნდა. თუკი სააკაშვილს დააკავებენ, ამით „ნაცმოძრაობაც“ იმ წნეხისგან გათავისუფლდება, რომელ წნეხსაც მიშასგან დღემდე განიცდის.

– გივი თარგამაძე „ნაცმოძრაობის“ მიშას ფრთად ითვლება?

– არა. ყოველ შემთხვევაში, მე ასე ვერ აღვიქვამ.

– უცნაურია: თარგამაძის დაკითხვა 9 საათი გრძელდებოდა. ბატონო კოტე, გამოირიცხავთ, რომ დაკითხვაზე დაბარება, უბრალოდ, ალიბო ყოფილიყო და, სინამდვილეში, გივიმ სამართალდამცავებს სააკაშვილზე მნიშვნელოვანი ინფორმაცია მიაწოდა?

– დავინყობ იმით, რომ გივი თარგამაძე ძალიან დიდი ინფორმაციის მატარებელია – ბოლოს და ბოლოს, წლების განმავლობაში, როგორც ადვოკატი, ნდობის ჯგუფის ხელმძღვანელი იყო...

– გავეყვითლოვარ: თუკი სააკაშვილის თამაშიდან გაყვანა ყველას – აშშ-ს, „ოცნების“ და თავად „ნაცმოძრაობის“ ინტერესია, ხომ ჩნდება გონივრული ეჭვი, რომ თარგამაძემ მიშა „ჩაუშვა“?

– ამ ეჭვს არსებობის უფლება აქვს...

– ესე იგი, გაქვთ მოლოდინი, რომ სააკაშვილის თავისავე გუნდი განირავს?

– მიშა „ნაცმოძრაობისთვის“ დღეს ტვირთი და დამთავრებული ფიგურაა! ამას მიშა თვითონაც უნდა მიხვდეს...

– რეჟიმი მხოლოდ მიშამ ხომ არ შექმნა?

– არა, მაგრამ პირამიდის სათავე იყო.

– მაშასადამე, მიშას დაჭერით მოსახლეობა დაშოშინდება?

– დიახ, მიშას დაჭერით ხალხი დაკმაყოფილდება, მით უმეტეს, რომ ვანო მერაბიშვილი, ბაჩო ახალაია, გივი უგულავა და კიდევ რამდენიმე სისხლის სამართლის პასუხისმგებლობაშია მიცემული.

– ბატონო კოტე, ქართული ანდაზაა, ხალხი ბჭობდა, ღმერთი იცინოდაო. ჰოდა, ჩვენც მგონი, ასე ვართ – მიშას დაჭერის ვერსიებს ვაყალიბებთ, თავად პრეზიდენტოფილი კი, თითს გვიქნევს, მალე დაგბრუნდებაო...

– მიშა ამ განცხადებებს იმიტომ აკეთებს, რომ საქართველოში პოპულარული შეინარჩუნოს.

– იზიარებთ გავრცელებულ ხმას, რომ 21 მარტის მიტინგის შემდეგ, სააკაშვილი თითქოს თანაგუნდელებს ეჩხუბა, ამდენი ფული დამასარჯინეთ და მიტინგზე ბევრი ხალხი მაინც ვერ მივიყვანეთო?

– ეს, მგონი, ჩვეულებრივი ჭორია, რადგან მიტინგზე ზუსტად იმდენი ხალხი მივი-

და, რისი შესაძლებლობაც „ნაცმოძრაობას“ აქვს. ასე რომ არ იყოს, „აი-რა-ის“ კვლევაში ყოფილ მმართველ პარტიას უფრო მეტი პროცენტი ექნებოდა.

– კვლევა 21 მარტამდე კარგა ხნით ადრე ჩატარდა...

– დიახ, მაგრამ „აი-რა-ის“ შეეძლო, რომ კვლევა 21 მარტამდე გამოქვეყნებინა...

– ერთი სიტყვით, კოტე ბატონო, ქართულ პოლიტიკურ ბაზარზე დიდი თამაშებია, არა?

– ბუნებრივია, არის. საერთოდ, პოლიტიკა თამაშის გარეშე არ არსებობს. პოლიტიკა თამაშების ხელოვნებაა და მეტი არაფერი!

– ისე, არ მგონია, რომელიმე ხელისუფლება ქვეყნისა თუ ხალხისთვის ცუდს მიზანმიმართულად აკეთებდეს...

– ყველა ცდილობს, რომ პოლიტიკური თამაშებით მაქსიმალური სარგებელი ნახოს...

– ბატონო კოტე, რა ამის პასუხია და, ამას წინათ, ჩანანერი გავრცელდა, სადაც თბილისის საკრებულოს დეპუტატი ქალბატონი „ოცნების“ ყოფილ წევრს სუს-ით ემუქრება... სპეცსამსახურები, მამხილებელი მასალების გარდა, ხალხის შესაშინებლად კიდევ რა მეთოდებს იყენებენ?

– როცა სუს-ის თანამშრომელი ვინმეს ურევავს და ემუქრება, ეს მხოლოდ სისხლის სამართლის დანაშაული კი არა, პირველ რიგში, არაპროფესიონალიზმია. ამიტომ, ასეთი თანამშრომელი სისტემიდან სასწრაფოდ უნდა დაითხოვონ!

– იმისთვის, რომ ვინმეზე ზემოქმედება მოახდინოს, სხვა ხერხები და მეთოდები არსებობს.

– სახელდობრ?

– ამას ვერ გეტყვით...

– სუს-ით თქვენც ხომ არ გითვალთვალებთ?

– სუს-ის კი არა, შეიძლება, სხვა უწყებების მეთვალყურეობასაც ვგრძნობ, თუმცა ასეთი დაკვირვებები არ მაშინებს და მეც მაქვს საშუალება, რომ ვილაცხვილავებს დავაკვირდე...

– ერთის მხრივ, ალბათ, კარგია, როცა გითვალთვალებენ – ამ გადარეულ ქვეყანაში არავინ იცის, რა მოულის, მაგრამ სპეცსამსახურმა ობიექტული როგორ უნდა დაზაფროს?

– ეს ოპერატიული თამაშების ხელოვნებაა... საერთოდ, სპეცსამსახურები, როგორც წესი, ცნობადი, ანუ იმ ადამიანების გადამბირებას ცდილობენ, ვისაც მასზე გავლენა აქვს, თორემ არაფერია „ტიპებზე“ ზემოქმედებას შედეგი არ მოაქვს.

– ...სხვათა შორის, ველოდები, რომ ე.წ. „კაბელის საქმე“ გააქტიურდება და ამით ირაკლი ალასანიას რეიტინგი გაიზრდება. ყოველ შემთხვევაში, „აი-რა-ის“ კვლევით ასეთი დასკვნის გამოტანა შეიძლება. ასევე, არ გამოვრიცხავ, რომ პრეზიდენტიც გააქტიურდეს.

– ისე, ვანო, თუ დააკვირდით, ორი დღის წინ, პრეზიდენტი, პარლამენტის თავმჯდომარე და ირაკლი ალასანია ერთ-ერთ საერთაშორისო კონფერენციას ერთად დაესწრნენ. მეტიც, გვერდი-გვერდ იხსდნენ. ასეთი რაღაცეები შემთხვევით არ ხდება, მით უმეტეს, ამ კონფერენციაზე მთავრობა არცთუ ფართოდ იყო წარმოდგენილი.


– ...ბატონო კოტე, ვარაუდობდით, რომ უმრავლესობა უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის პოსტზე ნინო გვენეტაძის კანდიდატურას ჩააგდებდა, თუმცა ასე არ მოხდა...

– მოდით, რა, კარტები გავხსნათ: რაც ვთქვი, ის, პრაქტიკულად, პროფილაქტიკა იყო...

– ანუ, უმრავლესობაში ვილაცამ გათვალა, რომ...

– (სიტყვას მანყვეტინებს) ვილაც რა შუაშია?.. ივანიშვილი ჭკვიანია, პოლიტიკური თამაშებიც იცის და სიტუაციასაც მართავს, რაც მისი ერთ-ერთი ყველაზე დიდი პლიუსია...

ესაუბრა ვანო პავლიაშვილი (თემის გაგრძელება იქნება)



ლექსიკონი. საქრებულო

„შენ – უკვდავების ჩამონადენო, მშენიერებას ხომ შენით იტყვა; დიდება შენდა, ჩემო ნათელი – ქართული სიტყვა, ქართული სიტყვა“

ვიკტორ ლეონიძე

უმრავლესობის ტრიზუნა

გაბრძობა მე-4 მკ.

საერთაშორისო თანამეგობრობა არასდროს ცნობს.

ბიძინა ივანიშვილი, როცა კოალიცია „ქართულ ოცნებას“ ქმნიდა, ამბობდა, შესაძლოა, ოდესმე დაიშალსო. სახეზეა პროცესი: ალასანია კოალიციას გამოეყო. „მრეწველები“ ლიდერის, გოგი თოფაძის განცხადებები ანტიდასავლური რიტორიკაა. კოალიციიდან კიდევ ვინ გაიქცევა?

კოალიცია გარკვეული მიზნისთვის შეიქმნა, ეს მიზანი გადალახულია. გოგი თოფაძემ პირადი მოსაზრებები გამოთქვა, თუმცა კოალიციაში შემავალ ამ სუბიექტს ხელი მონერილი აქვს საქართველოს ეკონომიკურ განვითარების სასარგებლოდ. მაშინაც კი, როცა ჩვენსა და გარე სამყაროს შორის „რკინის ფარდა“ იყო ჩამოფარებული, ქართველს აინტერესებდა დასავლეთი, ფიქრობდა, რომ მერცხლები იქიდან მოფრინავდნენ. ჩვენ სერიოზულად ვემზადებით რიგის სამიტისთვის.

გიგა ბოკერია ამბობს, მთავრობა ცდილობს, ხალხი შეაგუოს რიგის სამიტის იმედგაცრუებასო. თოფაძის ანტინატორიული აქტიურობა ამას ხომ არ უკავშირდება?

რასაც ბოკერია და მისი თანამოაზრენი იტყვიან, განსჯის საგანი არაა. გოგი თოფაძემ გააუღერა, რომ მოსახლეობის გარკვეულ ნაწილს აქვს საფუძველი, ასე იფიქროს.

გასაგებია, რომ მოქალაქეს უფლება აქვს, ასე იფიქროს, მაგრამ კოალიციას ხომ საგარეო ვექტორზე საერთო აზრი უნდა ჰქონდეს? „მრეწველები“ კოალიციას დატოვებენ?

არ ვიცი, პროცესები როგორ წავა. მოულოდნელი არაფერი იქნება, არც კოალიციაში შემავალი სუბიექტები არ ვართ ერთნაირები, ამქვეყნად არაფერია მარადიული, მათ შორის, არც – კოალიცია „ქართული ოცნება“. ვფიქრობ, არჩევნებამდე რყევა არ იქნება.

ალასანიას გასვლა რყევა არ იყო?

რასაკვირველია, იყო, ძალიან სამსუხარო რამ მოხდა. მართალია, კოალიციაში სხვადასხვა შეხედულება არსებობს, მაგრამ დიდ ცვლილებებს არ ველოდები.

პარტია „ქართული ოცნება“ როგორ ვითარდება?

პარტიის განვითარების პროცესი ჭიანჭურვებად, ვისურვებდი, მალე დამთავრდეს.

ამასობაში, მმართველმა პარტიამ აჭარაში უმრავლესობა დაკარგა.

შექმნის დღიდან, პარტია უფრო საშტაბო რეჟიმით მუშაობდა – არჩევნებიდან არჩევნებამდე, პარტიული მუშაობა კი კადრების აღზრდას, რეგიონებში განმავითარებელ პროექტებსა და სხვა აქტივობებს გულისხმობს.

უმრავლესობის გადახალისება არ იმეგება?

თავისთავად ფაქტია, რომ რაღაც გარკვეული ნაწილი, ალბათ, გადახალისდება, მაგრამ ეს თვითმინება არ უნდა იქცეს. მართალია, იქ ფიციერცხლნაჭამი ძმები არ ვსხედვართ, მაგრამ აკადემიური ურთიერთობები უნდა დავიცვათ. ყველაზე მთავარი ამოცანა შესრულებულია.

რა შესრულდა, ბატონო ნუკრი?

„ნაცმოძრაობა“ აღარაა ხელისუფლებაში. დანარჩენ გამონკვევებს მოვერევი.

ბატონო ნუკრი, როგორც რიგით მოქალაქეს, არ მაქვს განცდა, რომ „ნაციონალები“ სადმე წავიდნენ და ამაში პოლიციიდან გივი თარგამაძისთვის ინფორმაციების მიწოდებამაც დამარწმუნა...

რაც მთავარია, ხელისუფლებაში აღარ არიან, სადაც, შუა რგოლებში კი ჯერჯერობით სხედან. თუკი პოლიციელი „ნაცმოძრაობის“ წევრი იყო და გივი თარგამაძეს ინფორმაციებს ნამდვილად აწვდიდა, მანვებლობისთვის დაისჯება. კანონზე მალა არავინ დგას.

თარგამაძემ ხელისუფლებას ბრალი იქით დასდო და ამტკიცებს, რომ პოლიციელი, რომელმაც „კანონიერი ქურდის“ საქართველოში შემოყვანის შესახებ ინფორმაცია გასცა, სამსახურიდან გაათავისუფლეს.

გივი თარგამაძეს სხვა ცოდვები აქვს, მას ნელ-ნელა მოპოვობაზე. შფოთიანი მსოფლიოს ნაწილი ვართ, ჩვენზე ბევრი არაა დამოკიდებული, მაგრამ რეაგირება ყველაფერზე გვექნება.

გაქვთ შეგრძნება, რომ საზოგადოება „თვალში წაცარს არ შეიყრის“?

დიახ, ეს შეგრძნება მაქვს და სწორედ ჩვენი დამსახურებაა, ეს სარკველი ჩვენ გავხსენით.

ისე, სადაა 105 სანარმო?

მთავრობის განაცხადი, 105 სანარმო დაფინანსდა, იმას არ ნიშნავს, რომ ქვეყანაში გემთსაშენი და მეტალურგიული ქარხნები გაუჭნებენ. დაფინანსდა სანარმოები, მათგან

ზოგმა გაამართლა, ზოგმა – ვერა.

მალე ამუშავდება პროექტი: „ძლიერი რეგიონი – ძლიერი ქვეყანა“. დიდი ხანია, აღარ ვართ საბჭოთა ქვეყანა, როცა ქარხანა-ფაბრიკები სხვა რესპუბლიკებიდან გამოგზავნილი მასალებით მუშაობდნენ.

ასეთი ეკონომიკური თანამშრომლობის ფორმები ახლაც შესაძლებელია. ბატონო ნუკრი, დაპირება, რაც ბანკებისა და იპოთეკის საკითხს უკავშირდება, სადაა?

იპოთეკის საკითხი ბევრ სირთულეს მოიცავს, თუმცა მცდელობები ახლაც მიმდინარეობს. „ატსტუპნიკების“ თემაც აქტუალურია. ეს პრობლემაც მემკვიდრეობით გვერგო. სააკაშვილი აგულანებდა ხალხს, აიღე სესხი და ჩვენ დაგეხმარებით. ჰოდა, იღებდნენ სესხებს, ზოგი ახლობლის გადასარჩენად, ოპერაც-

საზოგადოება

ეთნიკურმა აზერბაიჯანელებმა სააკაშვილის მხარდამჭერი ორბანიზაცია შექმნეს!

რამდენიმე დღის წინ, ღამის პირველ საათზე, ვაკის პარკის მიწისქვეშა გადასასვლელში, ექვსკაციანი ჯგუფი დააკავეს, რომელიც კედელზე წარწერას – „მიშას გზა“ აკეთებდა. მართალია, დაკავებულთა სასამართლო პროცესი ჯერ არ გამართულა, მაგრამ, სავარაუდოდ, ყველას დააჯარიმებენ... როგორც აღმოჩნდა, არასამთავრობო ორგანიზაცია „მიშას გზა“ სააკაშვილის ყოფილმა მრჩეველმა, სამირა ისმაილოვამ ჩამოაყალიბა და მასში ის ეთნიკური აზერბაიჯანელების არიან გაერთიანებული, რომლებსაც მიაჩნიათ, რომ მიშას დაწყებული პოლიტიკა აუცილებლად გაგრძელდება... „ქართული სიტყვა“ არასამთავრობო ორგანიზაციის ხელმძღვანელს, ბსლან მამედოვის ესაუბრა.

არასამთავრობო ორგანიზაციის „მიშას გზა“ რატომ დაარქვით?

დიდი ხანი ვფიქრობდით, არასამთავრობო ორგანიზაცია შეგვექმნა თუ არა. მერე, სახელზეც ვფიქრობდით. ყველაფრის იდეის ავტორი მიხეილ სააკაშვილის ყოფილი მრჩეველი, ამჟამად „საქართველო-აზერბაიჯანის ასოციაციის“ თავმჯდომარე სამირა ისმაილოვაა. სამირას ირგვლივ ბევრი სტუდენტი გაერთიანებული. ისინი დაინტერესებული არიან არა „ნაცმოძრაობის“, არამედ, პირადად მიშას ცხოვრებითა და მოღვაწეობით. ის პოლიტიკა, რომელსაც მიხეილ სააკაშვილი ახორციელებდა, ყოველთვის მიმწინდდა... მოკლედ, ბევრი ვიფიქრეთ და გადავწყვიტეთ, ჩვენი ორგანიზაციისთვის „მიშას გზა“ დაგვექმნა. მგონი, სწორი არჩევანი გავაკეთეთ იმიტომ, რომ გვინდა, ის პოლიტიკა, რასაც სააკაშვილი საქართველოს სთავაზობდა, გაგრძელდეს.

„ნაცმოძრაობას“ ემიჯნებით?

საკაშვილი ამ პარტიის თავმჯდომარეა, ამიტომ არ შეიძლება, „ნაცმოძრაობა“ და სააკაშვილი ერთმანეთისაგან გავყოთ. მივესალმებით „ნაციონალების“ პოლიტიკასაც – ჩვენ ერთი გზა გვაქვს და, საერთო ჯამში, ალბათ, რამეს მივაღწევთ.

ორგანიზაცია როდის დაფუძნეთ?

ერთი თვე და მისი სრული სახელწოდება – „საქართველო-აზერბაიჯანელთა მოძრაობა – მიშას გზა“.

ორგანიზაციაში მხოლოდ ეთნიკური აზერბაიჯანელები ხართ განწევრიანებული?

მე შეიძლება ალიევის სახელობის სახელმწიფო თეატრის მსახიობი ვარ, სამირას გარშემო კი, ძირითადად აზერბაიჯანელი სტუდენტები არიან. თავიდან ჩვენი ორგანიზაციის ყველა წევრი ეთნიკური აზერბაიჯანელი იყო, მაგრამ ახლა ძალიან ბევრი შეგვიმჩინა და ჩვენთან თანამშრომლობის სურვილი გამოთქვა.

ეთნიკური აზერბაიჯანელები, როგორც წესი, იმ მთავრობის მომხრეები იყვნენ, რომელიც კონკრეტულ დროს მართავდა ქვეყანას. ახლა კი, ცოტა სხვა სურათია...

არ ვიცი, რატომ, მაგრამ მიშა საქართველოში მცხოვრებ აზერბაიჯანელებს ძალიან უყვართ, თუმცა არც მე და არც ორგანიზაციის წევრების უმრავლესობა პირადად არ ვიცნობთ. ახლანდის ნოვრუზ-ბაირამი – ჩვენი ეროვნული დღესასწაული იყო. აზერბაიჯანელებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში ჩვენი ორგანიზაციამ მიხეილ სააკაშვილის მისალოცი ფლაგები დააჩივრა. ამას ხალხი ტირილით ხვდებოდა და მიშას სურათს კოცნიდა, როგორ მოიპოვა ხალხში ასეთი სიყვარული, ვერ გეტყვით.

ეთნიკურმა აზერბაიჯანელებმა ის თუ იციან, რომ რელიგიურ კონფლიქტებში, რომელიც ბოლო დროს ძალიან გააქტიურდა, როგორც ამბობენ, „ნაციონალების“ ხელიც ურევია?

ეს სრული სისულელეა იმიტომ, რომ მიხეილ სააკაშვილი და მისი გუნდი ის პარტია,

ვის გასაკეთებლად, ზოგი – ციხიდან პატიმრის დასახსნელად, ზოგიც – გასამდიდრებლად. ახლა თავად გაჰკვირვან, ხალხს მიხედეთო. დამეთანხმებით, ქვეყანაში სიკვდილიანობამ იკლო და ეს წარმატებული სამედიცინო პროექტების შედეგია. „ნაციონალები“ ხელისუფლებას მოუწოდებენ, გადასახადებს დაუნიეთო. კი ბატონო, დაუნიეთო, მაგრამ მერე ჯანდაცვას ვინ დააფინანსებს?

კიდევ ერთ თემაზე მინდა გკითხოთ: მარნეულში ბიზნესმენ უჩა მამაცაშვილისთვის სიმბოლურ ერთ ლარად გადაცემული მინა განსჯის საგნად იქცა. პრემიერმა თქვა, რაღაც სერიოზი მინა გადავცეთ და იქიდან შემოსული მოსავალი ქართული ბაზრის იმპორტის 30%-ს ჩაანაცვლებსო...

პრემიერმა აღნიშნა, რომ ბიზნესმენი

ძნელად გამოსაყენებელ ტერიტორიას მაქსიმალურად გამოიყენებდა, 45-მილიონიან ინვესტიციას ჩადებდა და იქ მოყვანილი სურსათით მოამარაგებდა მოსახლეობას. ყველაფერ ამას კარგი განწყობით უნდა შეხედოთ.

ისე, ხრიოკზე გამასხენდა, 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის მერე, სამაჩაბლოს 114 დაკარგულ სოფელზე მიხეილ სააკაშვილიც ამბობდა, რაღაც ხრიოკი მინები დაიკარგაო.

განსხვავებას ვერ ხედავთ? ნიადაგი ზოგან ხრიოკია, ზოგან – ნოყიერი, ირაკლი ლარიბაშვილს ამ სიტყვის გამოყენებით, სამშობლოსთვის შეურაცხყოფა არ მიუყენებია, რასაც ვერ ვიტყვით ექსპრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილზე.

ესაუბრა ნათია გომიტიძე

რა მიზნები აქვს და ვინ აფინანსებს „მიშას გზას“

სრებიანა, თუმცა ამ დაკავებამ სტიმული მოგვცა.

თქვენი არსებობის შესახებ მიშამ, ან „ნაციონალურმა“ იცის?

გითხარით, რომ მიშას არ ვიცნობ.

სამირა ისმაილოვა ხომ სააკაშვილის ყოფილი თანამშრომელია?

მაგის შესახებ ვერაფერს გეტყვით. შეიძლება, მიშასთან მიმოწერა აქვს, მაგრამ პირადად მე, კავშირი არავისთან მაქვს. ასე რომ, არ ვიცი, მიშამ ჩვენი ორგანიზაციის შესახებ იცის თუ არა, თუმცა რომ გაიგოს, კარგი იქნება, რადგან მაგის საქმეს ვაკეთებთ!

ვინ გაფინანსებთ?

ფულს არავისგან ვიღებთ!

აბა, როგორ არსებობთ? – ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, ფული საღებავის საყიდლად მაინც ხომ გჭირდებათ?

ყველაფერს ჩვენი ჯიბიდან ვიხდით... მთავარი იდეაა. პატრულის თანამშრომელმა ასეთი შეკითხვაც დამისვა, ამისთანას რას გაძღვევ, ღამის პირველ საათზე ქუჩაში რომ გამოდიხარ და წარწერებს აკეთებთო. ვერ დავაჯერე, რომ ყველაფერს იდეის გულისთვის ვაკეთებთ. ჯერჯერობით ისეთს არაფერს ვაკეთებთ, რაშიც ფული გჭირდება, შემდეგ ვნახოთ.

ამბობთ, რომ თეატრის მსახიობი ხართ. აქამდე პოლიტიკასთან შეხება არ გქონიათ?

პოლიტიკაში არასდროს ვყოფილვარ, თუმცა ყოველთვის მაინტერესებდა. ისე, „კარდების რეკლამის“ დროს, ქუჩაში ბევრი ღამე მაქვს გათენებული – „კმარა“ რომ აქტიურობდა, მაშინ...

„კმარას“ წევრი იყავით?

არა. უბრალოდ, როგორც რიგითი მოქალაქე, ქუჩაში ვიდევი და მთავრობის გადადგომას ვითხოვდი. მიშა პარლამენტში რომ შევიარდა, მეც იქ ვიყავი. მერე, ყველაფერი, რაც კეთდებოდა, მომწონდა და ამიტომ აღარ ვაქტიურობდი.

ციხის ამბები და ქუჩაში ბიჭების ჩაცხრილვაც მოგწონდა?

ძირითადად ყველაფერი მომწონდა. რაც შეეხება ციხის ამბებს, ეს დადგმული მგონია. თუ მართლაც ასე იყო, რატომ მალავდნენ და არჩვენებამდე ერთი კვირით ადრე რატომ გამოაქვეყნეს? მას შემდეგ, რაც ნახეს, რომ „ნაცმოძრაობა“ ფეხზე წამოდგა, მოსახლეობის მოტყუებას ისევ ცდილობენ, მაგრამ დარწმუნებული ვარ, ხალხი მეორედ არ მოტყუვდება.

მიშა რომ დაბრუნდეს, ეს, რა, ხალხის მოტყუება არ იქნება?

არა. დარწმუნებული ვარ, ეს ხელისუფლება ძალიან მალე წავა და ამას „ნაცმოძრაობა“ კი არა, ხალხი გააკეთებს. ამ ხელისუფლების ალტერნატივა ჩემი აზრით, „ნაცმოძრაობა“.

თქვენი შემდეგი ნაბიჯი რა იქნება?

ეს სიურპრიზია და ვერ გეტყვით.

სიურპრიზი მალე იქნება?

ძალიან. ჩვენი სასამართლო დამთავრდება, ჯარიმებს გადავიხდით და მერე, ვნახოთ.

საქართველოს კონსტიტუციით, პოლიტიკური თუ სამოქალაქო აქტიურობის უფლება ქვეყნის ყველა მოქალაქეს აქვს. მართალია, ასლან მამედოვი ამტკიცებს, რომ მიშას არ იცნობს და არც ის იცის, ექსპრეზიდენტი „მიშას გზის“ არსებობაზე რა ინფორმაციას ფლობს, მაგრამ ყველაფერი ეს მაინც სენსიტიური თემაა. ასე რომ, სიფრთხილეა საჭირო!

ნათია პირაძე



საქრეპული
საქართველოს მთავრობის განცხადებით, გათავისუფლებული ტერიტორიების მშენებლობის პროგრამის ფარგლებში

„შენ – უკვდავების ჩამონადენო, მშენებელი ხარ ხომ შენით იტყვა; დიდება შენდა, ჩემო ნათელი – ქართული სიტყვა, ქართული სიტყვა“

ვალერი კოტეხიძე

რეპორტი

რამდენიმე წლის წინ, ნალკაში მალაქოთიანი აჭარადან სტიქიისგან დაზარალებული ოჯახები ჩაასახლეს. მაშინ სპეციალური პროგრამაც შეიქმნა, რომელიც ჯერ კიდევ რეგულაციამდელ მთავრობას ავალდებულებდა, რომ ჩაასახლებულთათვის საცხოვრებელი პირობები შეექმნა. მას მერე მრავალი წელი გავიდა – ორი მთავრობა გამოიცვალა, მაგრამ დაპირება დაპირებად დარჩა. მაინც, რა ხდება და რატომ გარბიან ნალკიდან აჭარელი ეკომიგრანტები? – „ქართულ სიტყვას“ არასამთავრობო ორგანიზაცია „ჩვენი უფლებებისათვის“ თავმჯდომარე ელზა შაველიძე ესაუბრა:

– თავის დროზე სახელმწიფომ აჭარლები ნალკაში იმ პირობით ჩამოასახლა, რომ მთავრობა ყველანაირ დახმარებას გაუწევდა, მაგრამ ეკომიგრანტები დღემდე უსახლკაროდ, უმინოდ და ძალიან მძიმე სოციალურ პირობებში ცხოვრობენ.

– ნალკაში სულ რამდენი ეკომიგრანტია?

– 3000-მდე, აქედან 500 ოჯახი სვანეთიდანაა.

– ბატონო ელგუჯა, აჭარლები ნალკაში რეგულაციამდე ჩაასახლეს, არა?

– დიახ. მერე, სააკაშვილი, პრეზიდენტი რომ გახდა, ხულოში ჩავიდა და აჭარლებს ნალკაში ჩაასახლებისკენ მოუწოდა, კარგი პირობების შექმნასაც დაჰპირდა.

– აჭარლები ამ წინადადებაზე რატომ დასთანხმდნენ?

– მალაქოთიანი აჭარა მცირემინიანია, თან მენყურსაშია...

მოსახლეობა ნალკაში ეტაპობრივად ჩაასახლეს. თავიდან უთხრეს, რომ ბერძენების მიერ მიტოვებულ სახლებში შესულიყვნენ და მერე, ამ სახლებს სახელმწიფო გამოისყიდდა; მიწების გადაცემასაც დაჰპირდნენ, მაგრამ 2010 წლიდან, მოსახლეობას მიწები გაუყიდეს. ასეთი გაუსაძლისი პირობების გამო, ბევრმა ნალკა დატოვა და თურქეთსა თუ ერაყში წავიდა. მხოლოდ ერაყში 10 000 ადამიანი გადასული, სადაც შავ სამუშაოზე – სანიტრებად, მომვლელებად, დამლაგებლებად მუშაობენ.

– ნალკაში თავს მესაქონლეობით ირჩენდნენ?

– დიახ... სოფლის მეურნეობის სამუშაოებს აღარ ატარებდნენ, რადგან უმინოდ დატოვეს. ამის გამო ბათუმსა და თბილისში აქციები გაემართეთ, მაგრამ ყურადღება არავინ მოგვამჩნევდა.

– ის სახლები, სადაც ადრე ბერძენები ცხოვრობდნენ, დღეს ვის საკუთრებაშია?

– სახლები და მიწა ისევ ბერძენების ხელშია. სახელმწიფომ თავის დროზე არ გამოიჩინა კეთილი ნება, რომ ამ სახლების გამოისყიდვა მომხდარიყო. ზაფხულობით ბერძენები ჩამოდიან და თუ მოისურვებენ, აჭარლებს სახლებიდან ყრიან, ზოგს კი დამხმარედ იყენებენ... მიწა უცხოელებზე – ინდოელებსა და ირანელებზე იყიდება. ისინი ქართველებს შავ მუშებად ამუშავებენ, რაც იმის წინაპირობაა, რომ უკუმიგრაცია მოხდეს. სხვათა შორის, ნალკაში უმეტესად აზერბაიჯანელები, სომხები ცხოვრობენ და ქართველები უმცირესობაში არიან.

ყველაზე აღმაშფოთებელი კი ისაა, რომ მოსახლეობას სასაფლაოებიც გაუყიდეს. როცა ხალხმა ხმა ამოიღო, უთხრეს, თქვენი მიცვალებულები ამოიღეთ და სადაც გინდა, წაიღეთო. ამას ვანდალიზმი ჰქვია და მეტი არაფერი! არასამთავრობო ორგანიზაციები ვიბრძვით, რომ სასაფლაოები ძველ მფლობელებს დაუბრუნდეს. მოკლედ, 2012 წლის მერე, ნალკაში ასეთი განუკითხაობაა.

– საფლავები ხალხს ვინ გაუყიდა?

– ერთ სოფელში, არენდატორ გულბანის ტერიტორიაზე, 15 სასაფლაო გაყიდეს. ერთ სოფელში კი, ექვსი მიცვალებულის სასაფლაო გაყიდეს.

ნალკაში მაფიოზური კლანია, ეს დრო მედროვეებმა და ყვარყვარებებმა გამოიყენეს – ახალ ხელისუფლებას მხარში დაუდგნენ. „ქართულ ოცნებაში“ „ნაციონალების“ პორტირება მოხდა და იმას აკეთებენ, რაც მოეპოვებოდათ. ნალკის მაფიოზური კლანის შავი ხელისუფლება, რომელთან ერთადაც კარგ ფულს აკეთებენ ზვიად ძიძიგური და დავით საგანელიძე! ნალკაში 78 000 ჰექტარი მიწაა და, სეზონური შემოსავლის სახით, მხოლოდ მეცხვარეებიდან 2 მლნ ლარი შესდით. იქვეა კარიერები, ტბა, რომელიც მთლიანად მაფიის ხელშია. ნალკაში ყველაფერი კლანურად იმართება – ჩანყობილი ტენდერები, განაგებულნი ინფრასტრუქტურა... მოსახლეობას წყალი არა აქვს. ამაზე ყურადღება რამდენჯერმე გავამახვილ-

არება, რომელიც ჯერ „ნაციონალი“ იყო, მერე, „ოცნებაში“ გადაბარგდა. რაიონი მას და ყოფილ გამგებელ ცეცხლს ჩააბარეს. ეს უკანასკნელი ვაიძულეთ, რომ თანამდებობა დაეტოვებინა, მის ადგილას მოვიდა ილია საბაძე, რომელიც „ნაციონალების“ დროს უშიშროებაში მუშაობდა.

ის, პლიუს, მიწებიც მის მფლობელობაშია. მართალია, რაიონში გამგებელი შეიცვალა, მაგრამ საექვო რეპუტაციის კაცი მოვიდა.

– რას გულისხმობთ?

– ნალკელები ილია საბაძეს ნავთლულის გახმაურებულ სპეცოპერაციაში მონაწილეობაში ამხელენ. ამიტომ უშიშროების სამსახური დროულად უნდა დაინტერესდეს და შეისწავლოს, თუ ვისი ინტერესების გატარებას ცდილობს ნალკის გამგებელი.

– ნალკიდან გაქცევას სხვა ეკომიგრანტებიც აპირებენ?

– სავარაუდოდ, – კი. ყველაფერი ნაართვეს, გასაქანს არ აძლევენ და აბა, რითი იარსებონ?

– საქმის კურსში ქვეყნის უმაღლესი ხელისუფლება ჩააყენეთ?

– ბათუმში 10-დღიანი აქცია გავმართეთ. მაშინ ბატონი ივანიშვილი ჩამოვიდა და დაგვიპირდა, სამ კვირაში ყველაფერს მოვაგვარებო. არჩევნებში „ქართულმა ოცნებამ“ გაიმარჯვა – ნალკაში ხმების 31% აიღო, ხალხმა ნდობა გამოუცხადა, რადგან სამართლიანობის აღდგენისა და სოციალური პირობების გაუმჯობესების იმედი ჰქონდა, მაგრამ ხელისუფლებაში მოსულმა „ქართულმა ოცნებამ“ დანაპირები აღარ შეასრულა.

პრემიერ-მინისტრს პეტიციაც გავუგზავნეთ, მაგრამ რეაგირება არ მომხდარა. ერთი თვის წინ, ნალკაში სოზარ სუბარის ჩამოვიდა, ეკომიგრანტებს შეხვდა და საცხოვრებელი სახლებით დაკმაყოფილებას დაჰპირდა, მაგრამ ამ გამგებლის ხელში უკეთესობის იმედი არა გვაქვს. კახეთში ერთი სოფელია, ბერთა ჰქვია, რომელსაც ადრე ულიანოვკას ეძახდნენ. იქ ბერებს, ეკლესიის მახლობლად, მიწის ნაკვეთები ჰქონდათ, მაგრამ არც ისინი დაინდეს და ნაკვეთები გაუყიდეს!

– ნალკაში მიწის ნაკვეთების გაყიდვას უშუალოდ ვინ კურირებს?

– დეპუტატი შავლოხაშვილი, გამგებელი საბაძე, მათ კი, ზურგს ვიცხებოვართ და უმრავლესობის მიღერი უმადრებენ! მეტი რაღა გინდათ?! ამ ხალხის გარეშე ნალკაში არაფერი კეთდება, მილიონობით თანხება გამოყოფილი და სოფელს წყალი მაინც არ აქვს. ერთადერთი ის მოახერხეს, რომ როცა ფულის გათვთრება უნდოდათ, ასფალტი თავიანთი სახლების წინ დააგეს. გზის მშენებლობისთვის გამოყოფილი თანხა უმისამართოდ გაიფლანგა.

– პრემიერმა განაცხადა, რომ ყველა რაიონის გამგებლის მუშაობას უშუალოდ შეამოწმებს. იმედი, ნალკასაც მოეცემა...

– ეს ლიტონი სიტყვებია და მეტი არაფერი. ნალკაში ძლიერი მაფიოზური კლანია გაბატონებული, რომელსაც ვერავინ ეხება. გასდით და იმას აკეთებენ, რაც უნდათ, ხალხის ბედი კი არავის ანალვლებს. აჭარლების ინტერესებს პარლამენტში არავინ იცავს.

– აბა, მურმან დუმბაძე რას აკეთებს?

– დუმბაძეს ვინ რას ეკითხება? თან, გაუნონასწორებელი პიროვნებაა. ისინი, ვისაც ლაპარაკი შეეძლოთ, „ოცნებიდან“ გაყარეს. სხვათა შორის, ხულოს რაიონის მაჟორიტარი დეპუტატი, ანზორ ბოლქვაძე ჯერ „ნაციონალებში“ იყო, მერე, თავისი ბიზნესის დასაცავად „ოცნებაში“ გადმოვიდა. ხულოში ყველა მნიშვნელოვანი ობიექტი ბოლქვაძეს ეკუთვნის – სასტუმრო, კაფე-ბარი, მიწის ნაკვეთები. თავის დროზე ეს ობიექტები ბოლქვაძემ ძალიან იაფად შეისყიდა. მართალია, ოფიციალურ დოკუმენტებში მისი გვარი არც ვეღვრირებს, მაგრამ ყველამ კარგად იცის, რომ ამ ქონებების პატრონი ანზორ ბოლქვაძეა.

სხვათა შორის, ალდგომის მერე, ნალკაში მცხოვრები ეკომიგრანტები თბილისში ჩამოსვლას და აქციის ჩატარებას გეგმავენ: მთავრობის კანცელარიასთან დადგებიან და მანამ არ წავლენ, ვიდრე ლარიაშვილს ხმას არ მიანკვედნენ. ისე, მხოლოდ ნალკაში არა, მთელ ქვემო ქართლში ხალხი გაუსაძლისი პირობებში ცხოვრობს. 160-მა ოჯახმა ნალკა უკვე დატოვა, 100 ოჯახი კი, თავს გაფარჩაკებულ საავადმყოფოს შენობას აფარებს. თუ ასე გაგრძელდა და არაფერი შეიცვალა, ქვემო ქართლი ქართველების გარეშე დარჩება

ესაუბრა ნათია ლეზანიძე

„თუ რაზე ფულია, ძიძიგურისა და საბანელიძის ჯიბეში მიდის!“

„ქართულ ოცნებას“ აწყობს, რომ თანამდებობაზე შავ საქმეებში გარეული ადამიანები დააბრუნოს – მათ ყველგან ფისვი აქვთ გადგმული და ახლაც დავალება უხმოდ ასრულებენ. ამ მაფიოზურ კლანს საქმეებსა და თევზიდან ბევრი ფული შესდის, პლიუს, მიწებიც მის მფლობელობაშია. მართალია, რაიონში გამგებელი შეიცვალა, მაგრამ საექვო რეპუტაციის კაცი მოვიდა – ნალკელები ილია საბაძეს ნავთლულის გახმაურებულ სპეცოპერაციაში მონაწილეობაში ამხელენ. ამიტომ უშიშროების სამსახური დროულად უნდა დაინტერესდეს და შეისწავლოს, თუ ვისი ინტერესების გატარებას ცდილობს ნალკის გამგებელი“.

აჭარელი ეკომიგრანტები, ალდგომის მერე, კანცელარიასთან პირადად უმადრებენ



ეთ, მაგრამ ისეთი მძლავრი მაფიაა, რომ ვერავინ ერევს.

– იმის თქმა გინდათ, რომ ამ მაფიას ზვიად ძიძიგური და დავით საგანელიძე მფარველობენ?

– რა თქმა უნდა, თუ ნალკაში რაზე ფულია, ძიძიგურისა და საგანელიძის ჯიბეში მიდის. ამ ორ მაფიოზს შავლოხაშვილი ეხმარება, რომელიც ჯერ „ნაციონალი“ იყო, მერე, „ოცნებაში“ გადაბარგდა.

– ანუ, ყველა თანამდებობის პირი „ნაციონალი“?

– „ქართულ ოცნებას“ აწყობს, რომ თანამდებობებზე შავ საქმეებში გარეული ადამიანები დააბრუნოს – მათ ყველგან ფისვი აქვთ გადგმული და ახლაც დავალებებს უხმოდ ასრულებენ. ამ მაფიოზურ კლანს საქმეებსა და თევზიდან ბევრი ფული შესდ-





ლევან კვიციანი. საქართველოში. ქვეყნის მშენებელი

„შენ — უკვდავების ჩამონადენი, მშენებელი ხარ სომ უნით იტყვა; დიდება შენდა, ჩემო ნათელი — ქართული სიტყვა, ქართული სიტყვა“

ვიტორი კონანი

ცეცხლოვანი რაზმი

„ცეცხლოვანი მიწის“ ევროპული საიდუმლო

ნელს, 10 მაისს, აზერბაიჯანის ყოფილი პრეზიდენტისა და საზოგადო მოღვაწის, ჰეიდარ ალიევის დაბადებიდან 92 წელი სრულდება... ყველა, ვინც საქართველოსა და აზერბაიჯანის უახლეს ისტორიაში ერთგვარად აღიარებს, რომ ჰეიდარ ალიევი, ედუარდ შევარდნაძესთან ერთად, საფუძველი მხოლოდ აზერბაიჯანისა და საქართველოს კი არა, მთელი ამიერკავკასიის თანამედროვეობას ჩაუყარა. ყოველ შემთხვევაში, ის ენერგეტიკული დერეფანი, რომელიც ბაქო-სუფსის, ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენითა და ბაქო-თბილისი-ერზერუმის გაზსადენითაა ცნობილი, სწორედ ალიევი-შევარდნაძის დამსახურებაა. მაინც, ვინ იყო და როგორია ქართველების თვალთ დასახული ჰეიდარ ალიევი? — „ქართული სიტყვა“ ინტერვიუ საპილოტო პროექტს, რომელსაც პირობითად „ცეცხლოვანი რაზმი“ დავარქვით (თუ რატომ „ცეცხლოვანი რაზმი“, ამას წინამდებარე დოკუმენტური ნოველიდან შეიტყობთ)... მაშ ასე, დღეიდან, ყოველ ოთხშაბათს, მე-20 საუკუნის 90-იანი წლების ყველაზე მასშტაბურ ამბებს მოგიყვებით...

(დასაწყისი იხ. „ქართული სიტყვა“ №12)

ნაწილი მეორე

...ეს ამბავიც ჩრდილოეთს უკავშირდება, ოღონდ ძალიან ადრე მოხდა, წინა საუკუნეში, 1890-იანებში, შეიძლება, ცოტა უფრო ადრეც...

ქარების ქალაქს, თბილისისა არ იყო, რუსული უღელი ადგას...

იმ დილას ატლანტიკის ოკეანიდან შავ ზღვამდე გადაჭიმული იმპერიის მმართველს ცუდ გუნებაზე გაეღვიძა... ის იყო, სამეფო ქვეშევრდოებს ზღაპრით დატოვა, ქვეშევრდომმა რომ მოახსენა, ბოიართა დელეგაცია გაახლათო.

— თვალთ არ დამანახოთ! — ცხვირი აიბზუა იმპერატორმა.

— მნიშვნელოვანი საქმეა, — ნაილულულა ქვეშევრდომმა.

— ჯანდაბას, მივიღებ, — გაიფიქრა რომანოვმა...

დელეგაციიდან ერთი ხმელ-ხმელი კაცი აქტიურად ისე სწრაფად ლაპარაკობს, პირიდან სულ ქაფი გასდის და ყველაზე მკაფიოდ მხოლოდ ერთ სიტყვას წარმოთქვამს: — ნობელი...

— და რა მოუვიდა ნობელს, მოკვდა? — დაინტერესდა მისი უდიდებულესობა.

— არა, თქვენო ბრწყინვალეობა, — მოჩვენებითად გაიღიმა ხმელ-ხმელმა, — საქმე ისაა, რომ მძებმა ნობელმა სამხედრო ქარხნის გახსნა გადაწყვიტეს, სადაც მასრებს, ქვეშეხის ლუღებს, ლაფეტებსა და თოფებს დაამზადებენ.

— მშენიერია, — ბავშვური ხმით შეჰყვირა იმპერატორმა. მერე, ცოტა ხანს იყუჩა და ბრძანა, — ლუღები და რობერტი მომგვარეთ!

...შვედი ინჟინრის, ქიმიკოსის, გამოგონებლისა და მრეწველ ალფრედის ვაჟები მის უდიდებულესობას დიდხანს, ძალიან დიდხანს ესაუბრნენ...

— სამხედრო ქარხნისთვის ნედლეულის ევროპიდან შემოტანა ძალიან ძვირი დაბეიჯდება, — დაინივლა ერთ-ერთმა ძმამ.

— დაიჯიერო, ამხელა იმპერიაში საჭირო ნედლეულს ვერ ნახავთ? — დაინტერესდა იმპერატორი.

— ყველაზე კარგი ნედლეული მერქანია.

— მერქანი? — იმპერატორი ჩაფიქრდა, — სადღაც, კავკასიაში, ერთი პროვინცია გვაქვს, იმ ადგილს, როგორც მახსოვს, ქარების ქალაქი ჰქვია, ჰოდა, იქ მუხის უკიდებარო ტყე უნდა იყოს...

იმ დღეს ქარების ქალაქში ქარი არ ქრდა...

მძებნი ნობელები ადგილობრივ მოსახლეობას გულსყურით უსმენდნენ.

ხალხი შფოთავდა:

— აი, აქვე, ქალაქიდან გავალთ თუ არა, მინას ცეცხლი უკიდია...

— ცეცხლი? — ინტერესდებიან შვედები.

— ჰო, ცეცხლი... იქაურობა ცეცხლშია გახვეული...

— ცეცხლს ვინ ანთებს? — მძებნი ერთმანეთს უყურებენ.

— არ ვიცი... რაც თავი გვახსოვს, მაგ მინას სულ ცეცხლი უკიდია... ცეცხლოვანი მინაა, ცეცხლოვანი!

„ცეცხლოვანი მინისკენ“ მიმავალ შვედ მძებნ ლამის მთელი ქარების ქალაქი ფეხდაფეხ აედევნა.

ლუდვიგი და რობერტი იქაურობას კარგა ხანს მდუმარედ ათვალიერებენ. მერე კი, ორივეს, ერთდროულად, სიცილი წასკდება.

რო გაოცდებო!

— ეს ნავთობია! — ყვირის რობერტი.

— ჰო, ეს ნავთობია! — ძმას კვერს ლუდვიგიც უკრავს.

აი, სწორედ ამ წამს მხოლოდ აზერბაიჯანის კი არა, საქართველოს ევროპული მომავალიც გადაწყდა!

მძებნი ნობელების გონებაში გრანდიოზული გეგმა იხარშება...

დიახ, დიახ, რა დროს სამხედრო ქარხანა, თოფი და ტყვია-წამალია.

უფლის წყალობაა, აბა, რა არის — „შავი

საქართველოდან დანახული ჰეიდარ ალიევი — ნავთობსადენ ბაქო-სუფსის უცნობი პერიპეტიები

ოქროს“ საბადოს მიაგნეს. ჰოდა, ახლა ყველაფერი მათ მოხერხებულობასა და მარიფათზეა დამოკიდებული: თუკი იმარჯვებენ, ისევე ამბებს დაატრიალებენ, რომ მთელი მსოფლიო, არა, მხოლოდ მსოფლიო კი არა, მთელი გალაქტიკა მათზე ილაპარაკებს!

— უფაღს ყვეარებევართ, — მძებნი ერთმანეთს მხარზე ხელს უტყავუნებენ და უკვე ცხადად ხედავენ, რომ დღეს თუ არა ხვალ, დედამიწას დაიმონებენ!

— სამხედრო ქარხანას აღარ ავაშენებთ, — მიახალეს კავკასიიდან მეფის რუსეთის დედაქალაქში დაბრუნებულმა შვედებმა იმპერატორს.

— რატომ? — გველნაკებენით წამოვარდა საიმპერატორო ტახტიდან მისი უდიდებულესობა.

— იმიტომ, რომ ბაქოში ნავთობია!

— ნავთობი? — უკვირს იმპერატორს, თუმცა ნავთობის სიდიდესი მისი შთამომავლობა ამოხსნის და იმასაც მიხვდება, რომ ნავთობით მსოფლიოს თავის ჭკუაზე ათამაშებს, თუმცა ეს მერე მოხდება, ლამის ასი წლის შემდეგ. მანამდე კი, ჩრდილოეთური გენი მხოლოდ იმით კმაყოფილდება, რომ ბაქოში მოპოვებულ ნავთს ლამპაში ასხამს და უკუწინს ინათებს...

ქარების ქალაქი ევროპული ბოჰემის ქარცეცხლში ეხვევა...

აზერბაიჯანი ქართველებისთვის უცხო არც აქამდე იყო — რაღა შორს წავიდეთ, აგერ, გრიგოლ ორბელიანი და სხვა ქართველი გენერლები აქ მოღვაწეობდნენ, უფრო ადრე კი, განჯაში ფეხი ტატომ მოიკიდა, ბარათშვილმა, მაგრამ ახლა, როცა „შავი



Heidar Aliyev and other officials.

წყალობით, ქარების ქალაქი ლამის სამყაროს ჭიპად იქცა, ქართველები უფრო მომრავლდნენ: ჯერ კლინიკა გახსნეს, მერე, — აზერბაიჯანულ-რუსული სასწავლებელი, ვინმე წერეთელმა ლიცეუმი დააარსა... თეატრალური დასიც შექმნეს — წარმოდგენებს თამაშობენ...

მოიცა, როგორ ამბობდა რუსთაველი? — გველსა ხვრელით ამოიყვანს ენა ტკბილად მოუბარო?

ჰოდა, ტკბილად მოუბარი ენა ნავთობია.

არ გვერათ? კი ბატონო, ნუ დაიჯერებთ, მაგრამ ფაქტებს რა ვუყოთ, ფაქტებს?

ახლა, არ მიიხრათ, სადაა ფაქტი, რომლითაც დასტურდება, რომ ნავთობმა „გველი ხვრელიდან“ ამოიყვანაო?

ახლავე მოგახსენებთ, ბატონებო!

15 წელია, საქართველო და აზერბაიჯანი იმპერატორს აჯას-აჯაზე უგზავნიან, ლამის მუხლებში უვარდებიან, რომ რკინიგზის გახსნის ნება დართოს, მაგრამ რად გინდათ? — მისი უდიდებულესობა მტკიცე და შეუვალია: ეგლა აკლია, ქართველებსა და აზერბაიჯანელებს თავიანთი გააყვანინოს.

იმპერატორმა ზუსტად იცის, რომ რკინიგზის გაყვანა ორივე პატარა გუბერნიას გააძლიერებს და თბილისსა და ბაქოში შესაძლოა, ანტიიმპერიული აჯანყებამაც იფეთქოს. ჰოდა, უნდა ზედმეტი თავის ტკივილი? — ჯობია, ყველაფერი ისე დარჩეს, როგორც არის!

და აი, სწორედ ამ დროს, მძებნი ნობელები იმპერატორს ეუბნებიან, რომ ნავთობის

ბაქოდან ბათუმამდე რკინიგზით ტრანსპორტირება უბრალოდ იაფი კი არა, ძალიან იაფი დაჯდება.

— მართლა?! — ორაზროვნად ჩაილაპარაკებს იმპერატორი და მას შემდეგ, რაც მძებნის დასაბუთებულ პასუხს მოისმენს, იხუმრებსავე, ამიერიდან სახედრები თვალთ ალარ დამანახოთ და... ბაქოდან ბათუმამდე რკინიგზის გახსნის ბრძანებას საიმპერატორო ბეჭედს დაასვამს!

ამ დღიდან გავა ზუსტად 100 წელი და... ჰეიდარ ალიევის გონებაში მძებნი ნობელების საუკუნისწინანდელი ბიზნესინიციატივა ამოუტივტივდება.

— ეს ისაა, რაც ჩვენც გადაგვარჩენს და საქართველოსაც, — გაიფიქრებს ალიევი, რომლის კაბინეტის კარსაც რამდენიმე წუთში ახალგაზრდა მამაკაცი შეაღებს.

სტუმარი ქართველია. ბაქოში, მეგობართან ერთად, ამას წინათაც ჩამოსულა, ნატიკ ალიევის ილაპარაკების გაუცნია. მამას სწორედ ილაპარაკა სოხოვა, შეხვდითო... თბილისელ ემისარს სიტყვა პლახვერდიევამაც შეანია. ალახვერდიევი ჰეიდარ ალიევის თანაშემწეა, მერე, ბაქოს მერი გახდება...

ქართველი ნერვიულობს — ხუმრობა ხომ არაა, საბჭოთა კავშირის მთავრობის თავმჯდომარის ყოფილ მოადგილეს, ამჟამად კი, ნახიჭევანის ავტონომიური რესპუბლიკის ხელმძღვანელსა და, ამავდროულად, აზერბაიჯანის საკანონმდებლო ორგანოს ვიცესპიკერს უნდა შეხვდეს.

აზერბაიჯანის პარლამენტის შენობაში უკანა კარიდან შედის...

გულს ბაგა-ბუგი გააქვს...

მესამე სართულზე სიმშვიდეა...

— მიბრძანდით, — ეუბნება თანაშემწე და ღია კარისკენ უთითებს...

— გიორგი, დაჯექი, — ღიმილით ამბობს ჰეიდარ ალიევი.

ქართველი ემისარი ჯდება და... ანაზღეულად იქ ბრუნდება, შორეული 70-იანების მინურულში, თბილისის საავიაციო ქარხანაში... აი, ჰეიდარ ალიევი საავიაციო ქარხნის სააქტო დარბაზის ტრიბუნასთან მიდის და ამიერკავკასიის რესპუბლიკების მნიშვნელობაზე ლაპარაკობს.

— ჩაის ხომ მიირთმევ? — გააჭანტურიას რეალობაში მასპინძლის ხმა აბრუნებს.

— რა თქმა უნდა, — ცხელმა ჩაიმ გაიას ენა დასწვა, მაგრამ არ შეიმჩნია, — ბატონმა ედუარდმა გამომგზავნა... მოკითხვა გადმოგცათ...

— მაღლობა... ედუარდი როგორაა?... — ჰეიდარ ალიევი სტუმარს თვალს არ აცილებს, — ვიცი, საქართველოში რაც ხდება... რას ფიქრობთ, აფხაზეთში მდგომარეობა როგორ განვითარდება?... კარგ დღეში არც ჩვენ ვართ, მაგრამ თქვენთან უფრო მძიმე სიტუაციაა...

ქართველი ემისარი ჰეიდარ ალიევის კაბინეტში 40 წუთი დარჩება...



Two men in suits, one speaking at a podium.



„შენ – უკვდავების ჩამონადენო, მშენიერებაც ხომ შენით ითქვა; დიდება შენდა, ჩემო ნათელი – ქართული სიტყვავე, ქართული სიტყვავე“

კორნეი ლეონიძე

საქართველოს პარლამენტი

ცენტრონანი რაში

80-12 გვერდიდან

ჰეიდარ ალიევი მომავალ თანამოაზრეს ლამის ყოველი მეორე სიტყვის მერე ეკითხება:

– ედუარდ შევარდნაძე რას ფიქრობს? გია ჭანტურია ცდილობს, ოფიციალური თბილისის მესიჯებიდან ერთიც არ გამოორჩეს...

– გიორგი, დიახ, კარგ დღეში არც ჩვენ ვართ, მაგრამ შეგიძლიათ, ედუარდ ამბროსის ძეს გადასცეთ, რომ რაც შეგეძლება, ყველანაირად დაგეხმარებით!

გია ჭანტურია ხვდება, რომ ჰეიდარ ალიევი გულწრფელია – მას საქართველოს მიმართ განსაკუთრებული განცდა, ემოცია, დამოკიდებულება აქვს...

თბილისი ჰეიდარ ალიევის ძის სიყმანვილის ქალაქია – ამ ქალაქში ტატოს, პასტერნაკსა და სხვა ჰუმანისტებს ეზიარა.

ახლა თბილისი და, სრულიად საქართველო, განსაცდელშია.

უნდა დაეხმაროს!

თბილისში აზერბაიჯანელი ემისარი რომ ჩამოსულიყო, ედუარდიც, რა თქმა უნდა, ანალოგიურად მოიქცეოდა და მეზობლის დასახმარებლად, რაც შეეძლებოდა, ყველაფერს გააკეთებდა.

აი, სწორედ ესაა კავკასიური ძმობა და მეგობრობა...

აი, სწორედ ესაა ის იდუმალი ძაფი, რომელიც ქართველებსა და აზერბაიჯანელებს ერთმანეთთან აკავშირებს...

მერე, წლები რომ გავა, გიორგი ჭანტურია ამ იდუმალი ძაფის ზეციურ ძალას არაერთხელ იგრძნობს.

1995 წლის 10 იანვარია...

თბილისიდან ცნობა მოვიდა: სტიქია მძვინვარებს! ბაქოშიც ცუდი ამინდია – თოვლი და ერთი უბედურება...

გიას ლამეული ზარები არ უყვარს – იცის, ამ დროს კარგ საქმეზე არავინ დარეკავს...

ტელეფონის ხმა არც ახლა ესამოვნა, თან რალაცნაირად მიხვდა, რომ თბილისიდან უნდა რეკავდნენ...

– გია, მე ვარ, – ყურმილში ნაცნობი ხმა ისმის, ედუარდ შევარდნაძეა.

– დიახ, ბატონო ედუარდ, – აზერბაიჯანში საქართველოს ელჩი ცუდი ამბის მოსასმენად მოემზადა.

– გია, არ გაგიკვირდეს, ამ დროს რომ გირეკავ, მაგრამ განსადენი აფეთქდა...

– გაზ-სა-დენი, – რატომღაც დამარცვლით გაიმეორა ჭანტურია, რომელმაც გადასარეკად უწყის, რომ ეს ერთადერთი გაზსადენია, რომლითაც საქართველო და სომხეთი რუსული გაზით მარაგდებიან.

და თუკი გაზსადენი აფეთქდა, მაშასადამე, საქართველოში არც გაზი იქნება და არც – ელექტროენერგია.

ესე იგი, ქვეყანა სიცივის და სიბნელის ზღვარზეა!

– თბილისში 10-12 გრადუსი ყინვაა, – აგრძელებს ედუარდ ამბროსის ძე, – ასეთი სიცივე რომ არ იყოს, დილაზე მოვიცდიდი და არ დაგირეკავდი, მაგრამ ახლა სხვა გამოსავალი არ გვაქვს, – გია ჭანტურიას ედუარდ შევარდნაძის ასეთი ხმა არც მანამდე მოუსმენია და არც – მას შემდეგ, – ჰეიდარ ალიევი, რაც შეიძლება, ადრე ნახე და სთხოვე, რომ სანკავით, ელექტროენერგიით, ყველაფრით, რითიც შეუძლია, დაგვეხმაროს...

– დიახ, ბატონო ედუარდ... – სიცივისგან ათი ახალშობილი გარდაიცვალა, – ლამის დაიწურჩულა საქართველოს სახელმწიფო მეთაურმა და ყურმილი დაკიდა...

გია ჭანტურია საათს დახედა... 6 ხდება.

განჯლიკის საპრეზიდენტო რეზიდენციაში ჯერ ისევ სძინავთ...

– უხერხულია, მაგრამ მეტი გზა არ მაქვს, – ჩაილაპარაკა ქართველმა დიპლომატმა და ნომერი აკრიფა...

ერთი... ორი... სამი და...

აი, სწორედ მაშინ, როცა ჩათვალა, რომ არ უპასუხებდა, ვაგივ გუსეინოვი ჩვეული შემართებით მიესალმა. ვაგივი ჰეიდარ ალიევის დაცვის უფროსია, არაჩვეულებრივი ადამიანი...

– ვაგივ, ახლავე, ამ წამს, რეზიდენციაში უნდა მოვიდეთ...

– მოდი, – დაცვის სამსახურის ხელმძღვანელი ისე დასთანხმდა, არც დაფიქრებულა... განჯლიკის საპრეზიდენტო რეზიდენციაში ფეხი რომ შედგა, უკვე რვის ნახევარი იყო...

– აზერბაიჯანის პრეზიდენტი ჰეიდარ ალიევი თანამოაზრე ქართველს საპრეზიდენტო კოტეჯის შესასვლელში დახვდა... – ჰეიდარ ალის ძე, მაპატიეთ, ასე ადრე რომ შეგან უხეთ, მაგრამ ედუარდ შევარდნაძემ დამირეკა, საქართველოში საშინელება ხდება – გაზსადენი აფეთქდა, არც გაზია, არც – დენი... სიცივისგან ათი ახალშობილი სამშობიაროში გარდაიცვალა... ჰეიდარ ალიევის ნირი ნაუხდა...

– ალელა... ემოციის შეკავება არ უცდია... რამდენიმე წუთში განჯლიკის საპრეზიდენტო რეზიდენციაში მთავრობის წევრები შეიკრიბნენ. „აზერბაიჯანის“ ხელმძღვანელიც აქაა – მუსლიმი იმანოვი... ჰეიდარ ალიევი შეკრებილებს საქმის ვითარებას აცნობს და მუსლიმი იმანოვს მიმართავს: – დღეიდან, ათი დღის განმავლობაში, ყოველ დღით, ზუსტად 8 საათზე, ბაქოს გათიშავ და ელექტროენერგიას საქართველოს მიანვი!

– ჰეიდარ ალიევი ვა-ბანკზე მიდის – აზერბაიჯანშიც მკაცრი ზამთარია, თან ბაქოელებმა არ იციან, უშუქობა რა არის, მაგრამ არა უშავს, აუხსნის და ხალხი გაიგებს – ხალხმა გადასარეკად იცის, რომ საქართველო აზერბაიჯანის კეთილი მეზობელია... გია ჭანტურია ცრემლი აწვება... აი, ესაა ნამდვილი მეგობრობა, კეთილგანწყობა, დახმარება... – გიორგი, ყოველ დღით, 8 საათსა და 30 წუთზე დამირეკავ და დამიდასტურებ, რომ თბილისს ელექტროენერგია მიეწოდება. – დიახ, ჰეიდარ ალის ძე... და ასე გრძელდება ათი დღე: ირიყრაყებს თუ არა, აზერბაიჯანში საქართველოს ელჩი აზერბაიჯანის პრეზიდენტს ურეკავს და ეუბნება: – თბილისს ელექტროენერგია მიეწოდება! ჰეიდარ ალიევი სიყმანვილის ქალაქი ყინვისგან იხსნა... – საქართველო ამ ადამიანის ბედისწერაა, – აღარც კი ახსოვს, მერამდენედ იმეორებს გია ჭანტურია და სწამს, რაც უნდა მოხდეს, არსთაგამრიგემ რა განსაცდელიც უნდა მოუვლინოს, საქართველო ფეხზე მაინც წამოდგება, რადგან ისეთი მეგობარი, გულშემატკივარი, კეთილისმსურველი ჰყავს, როგორც ჰეიდარ ალიევი! ...თითქმის ხუთი წელია, საბჭოთა კავშირი აღარ არსებობს. ხუთი წელია, საქართველო, აზერბაიჯანი და სხვა პოსტსაბჭოთა რესპუბლიკები ჭაპანს დამოუკიდებლად ეწევიან...

კრემლი პატარა სახელმწიფოების დამოუკიდებლობას ვერ ეგუება, განსაკუთრებით, კავკასიელთა თავისუფლება აშფოთებს...

პროვოკაციას-პროვოკაციაზე აწყობს... ყარაბაღსა და აფხაზეთში სისხლი იღვრება, მაგრამ ჩრდილოეთში ხვდებიან, რომ ამ ომებით ამაყი კავკასიელების ხელმეორედ დამონებას ვერ შეძლებენ.

რალაც სხვა არის საჭირო, უფრო ეფექტური და შოკისმომგვრელი... ტერაქტი? შო, რატომაც არა?!

ერთი ბომბი და მორჩა – ყველაფერი თავის ადგილას დადგება, თან ორი პრობლემა მოგვარდება: გამოცდილ პოლიტიკოსებს თავიდან მოიშორებენ და ველარც ნობელეების საუკუნისნინანდელი იდეა გაცოცხლდება.

აი, ასე... ნავთობსადენი და ევროპა გინდათ, არა?!

კი ბატონო, რა პრობლემაა, მაგრამ გახსოვდეთ: ეს ნავთობსადენი ბევრ, ძალიან ბევრ სისხლსა და უბედურებას მოგიტანს!

– ჩვენ აკვავფეთქებენ! – ეტყვის ერთხელ ჰეიდარ ალიევი ქართველ თანამოაზრეს. გია ჭანტურია დუმს... ჰეიდარის წინასწარმეტყველება ცხადდება: ქარების ქალაქში, ერთ-ერთი ხიდის ქვეშ ბომბია.

მან, ვინც ბომბი დადო და მანაც, ვინც ბომბის დადება მოიფიქრა, პრეზიდენტის მარშრუტი ზედმიწევნით კარგად უწყის. აგერ, პრეზიდენტის კორტეჟიც გამოჩნდა...

ცოტაც, სულ ცოტაც და... ნავთობსადენი აღარავის ემხსოვრება – მსოფლიო აზერბაიჯანში განხორციელებულ ტერაქტზე ილაპარაკებს!

ქარების ქალაქს აფეთქება აყრუებს... – პრეზიდენტი ააფეთქეს! – ჩურჩულებს ხალხი... უფალი რჩეულებს არ სწირავს – ჰეიდარ ალიევი სალსალამაია!

გავა რამდენიმე თვე და ბაქოს სცენარი თბილისში გათამაშდება – აფეთქების ალში ამჯერად რუსთაველის გამზირი გახვდება...

– აკი, გითხარით, უფალი რჩეულებს არ სწირავს-მეთქი – მიზანმა საშუალება ვერც ამჯერად გამართლა: ედუარდ შევარდნაძე კიდევ დიხანს იცოცხლებს. ელსმენი რეკავს... სატელეფონო ხაზზე ბაქოა... ილჰამ ალიევი ედუარდ შევარდნაძეს გადარჩენას ულოცავს და აიმედებს, რომ ყველაფერი კარგად იქნება...

მოკლედ, საქართველოსა და აზერბაიჯანის პირველი პირები სახიფათო ზღვარზე არიან – მათი უსაფრთხოება სამშობლოში არაა დაცული და ქვეყნის საზღვრები რომ გადაკვეთდეს, უფალმა უწყის, რა მოხდება. გია ჭანტურია ყოყმანობს. ბოლოს, ხელს იქნევს, რაც არის, არისო და აზერბა-

იჯანის პრეზიდენტს ეუბნება: – ჰეიდარ ალის ძე, მეონი, ურიგო არ იქნება, საქართველოს რომ ესტუმროთ! ხუთი წელია, საქართველო და აზერბაიჯანი დამოუკიდებლობის ჭაპანს ეწევიან, მაგრამ არც აზერბაიჯანის სახელმწიფოს მეთაური სტუმრებია თბილისს ვიზიტად და არც საქართველოს ხელმძღვანელი – ბაქოს.

– კარგი იდეაა, – ჰეიდარ ალიევი თანამოაზრეს უღიმის... გია ჭანტურია საქართველოში ჰეიდარ ალიევის ვიზიტის მომზადებას იწყებს...

1996 წლის 8 მარტს თბილისში, ოფიციალური ვიზიტით, აზერბაიჯანის პრეზიდენტი ჰეიდარ ალიევი ჩამოდის, თუმცა 1996 წლის გაზაფხულამდე დიდი დროა, თბილისსა და ბაქოში მოვლენები ჯერ დრამატულად უნდა განვითარდეს... სხვა თუ არაფერი, ქარების ქალაქს 15 რუსი გენერალი უნდა ეწვიოს და პრეზიდენტი საკუთარ კაბინეტში დაატყვევოს...

მაშ, ასე: იქ დაგზრუნდით, საიდანაც დავიწყეთ – სასტუმრო „აზერბაიჯანის“ მეცამეტე სართულზე ტელეფონის ზარი გაისმა. ქართველ დიპლომატს გულმა რეჩხი უყო...

– 12 საათია, ჰეიდარ ალის ძე, 15 რუს გენერალთან ერთად, კაბინეტშია ჩაკეტილი. დარწმუნებული ვარ, პრეზიდენტი დაატყვევდა, – ლულულულებს ტარიელი... გია ჭანტურია ფიქრდება... დაბნეულობა წამიერად გრძელდება. მერე?

მერე, კომუტატორს თბილისთან დაკავშირებას სთხოვს... გიას ჯერ არაფერი უთქვამს, მაგრამ ედუარდ შევარდნაძეს გუშანი კარნახობს, რომ რალაც მოხდა, თან ძალიან ცუდი... ახალგაზრდა დიპლომატი ნანყვეტ-ნანყვეტ ამბობს: – ჰეიდარ ალიევიჩი... 15 რუსი გენერალი... 12 საათია... კაბინეტი... ედუარდ შევარდნაძე ყველაფერს უსწრაფესად აანალიზებს... – გია, ახლავე თედო მოძებნე, ჯაფარიძე... – დიახ, ბატონო ედუარდ... თბილისთან კავშირი წყდება... გია ჭანტურია თედო ჯაფარიძის მოძებნას იწყებს...

თედო ამერიკანისტია, თავისი საქმის კარგი სპეციალისტი... ახლა დიპლომატიურ მისიას ასრულებს – ამერიკის შეერთებულ შტატებში საქართველოს ელჩია... მოვლენათა ეპიცენტრი ოკეანის გაღმა ინაცვლებს...


...ორი დღეა, აშშ-ის უშიშროების საბჭოს თანამშრომელი ქალბატონი, რომელიც საქართველოს დესკოფიცირია, ნიუ იორკში გაემგზავრა – და გაუთხოვდა, საქორწინო წვეულებაა.

ესეც, ალბათ, საქართველოსა და აზერბაიჯანის ბედისწერაა! აი, სწორედ ახლა გამოჩნდება თედო ჯაფარიძის მთელი დიპლომატიური ნიჭი და უნარი – რალაც უნდა დაუჯდეს, დესკოფიცერი, შილა ჰესლინი უნდა მოძებნოს, თან სასწრაფოდ უნდა მოძებნოს, წამი რაა, წამის დაკარგვაც არ შეიძლება, თორემ ეშმაკმა უწყის, ქარების ქალაქში რა მოხდება...

მოკლედ, თედო ჯაფარიძე ქმედებაზე გადადის... 12 საათია, 15 რუს გენერალს აზერბაიჯანის პრეზიდენტი ჰეიდარ ალიევი საკუთარ კაბინეტში ჰყავს ჩაკეტილი... გია ჭანტურია ადგილს ველარ პოულობს...

ისევ ელსმენის ხმა ისმის, ოღონდ ამჯერად – ალიევის რეზიდენციაში... – ახლავე, – სახე უნათდება თანაშემწე ტარიელს და ჰეიდარ ალიევის ასხენებს, – ბატონო პრეზიდენტი, სასწრაფოდ ყურმილი აიღეთ! – ახლავე, – ალიევი რუს გენერლებს თვალს არ აცილებს... – გამარჯობა, მისტერ ალიევი, მე ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი ვარ, ბილ კლინტონი! რუს გენერლებს მკვდრისფერი ედებათ...





ლექსიკონი. საქრებულო. საქრებულო.

„შენ – უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებას სომ შენით იტყვა; დიდება შენდა, ჩემო ნათელი – ქართული სიტყვა, ქართული სიტყვა“
ვიკტორ ჰერბსტ

საქრებულო საბარტალს ითხოვს!

საქართველოს უახლეს ისტორიაში იმდენი შემზარავი „საჯარო“ მკვლელობა მოხდა, რომ ერთგვარი „იმუნოტიტის“ კი გამოგვიჩვენებდა: შეგურობით ტელევიზორებს და გვეგონა, რომ უბედურება შეიძლება, მხოლოდ სადღაც სხვაგან, სხვის თავს მოხდეს. ფსიქოლოგები ამბობენ, რომ ამგვარი „სულერთობა“ დამოკიდებულია ჯანსაღი ადამიანის ფსიქიკის თავდაცვის ძლიერი მექანიზმის შედეგად: რამდენად სწორად და ცხედებით ტრავმების მონაწილე, იმდენად ეფექტურად ახერხებს ჩვენი გონება, ავტომატურად აისხლიტოს ცუდი ინფორმაცია, რათა ჭკუიდან არ შევიშალოთ, მაგრამ ჯანსაღი ფსიქიკის მქონე ადამიანი, პარალელურად, იმასაც უნდა ამჩნევდეს, რომ აუცილებელია, დაფიქრდეთ, რა ბალბამი იხარშება იმ საზოგადოებაში, სადაც ვცხოვრობთ, რატომ შემოგვარჩია თავი ყოველმხრივ უმძიმესმა რეალობამ და ყველაფერი ეს სადამდე მიგვიყვანს. „ქართული სიტყვა“ აგრძელებს რუბრიკას – „საქრებულო საბარტალს ითხოვს“, რომლის ტრადიციული სტუმარი ადვოკატი ელზა ჯემსაძეა.

– ელზა, ვიდრე ადვოკატი გახდებოდი, ჟურნალისტი იყავით – პოლიტიკაზე წერდით და ჟურნალისტურ გამოძიებებსაც აწარმოებდით. მოდი, წარსულს ერთად გადავხედოთ და შევეცადოთ, გაგარკვიოთ, ჩვენს თავს რა ხდება?

– ჩვენს თავს აბსოლუტურად ლოგიკური ამბები ხდება!

– ანუ, მაგალითად, ბესო ხარძიანის მკვლელობა ლოგიკურია?

– ისე ნურავინ გამოგვებს, რომ ეს, ან სხვა გახმაურებული თუ გაუხმაურებული მკვლელობა ჩვეულებრივ ამბად მიმაჩნია. უბრალოდ, როცა დღისით, მზისით, ოჯახის წევრების თვალწინ კლავენ კაცს, რომელიც სამართლიანობის აღსადგენად იბრძოდა, ეს იმას ნიშნავს, რომ რაღაც ძალას არ უნდა, სამართლიანობა აღდგეს ისე, როგორც ეს პროცესი უნდა მიმდინარეობდეს ცივილურ ქვეყანაში. ეს ნიშნავს, ამა თუ იმ დაპირისპირების მთავარი ფიგურის თავიდან ასე თავხედურად მოშორებით, მკვლელი თუ მკვლელობის დამკვეთი მსხვერპლის მთელი საახლობლოს, ასევე, სამართლიანობის აღსადგენად მეზობელი სხვა პირების დაშინებასაც ცდილობს, თუ არ შეჩერდებით, თქვენც იგივე მოგელოთ! აქ ყველაზე საშიში და საშინაო ისაა, რომ ის, ვინც ამას აკეთებს, დაუსჯელობის სინდრომითაა შეპყრობილი, რაც ხელისუფლების უმოქმედობის შედეგია. ნებისმიერ ვარიანტში, პასუხისმგებლობა ხელისუფლებას ეკისრება, რადგან სამართლიანობა სწორედ მისი აღსადგენია და მომავალში, კანონიერებას მისი დასაცავია. როცა ხელისუფლებას არ უნდა, ან არ შეუძლია, ამ ამოცანას თავი გაართვას, ანგარიშსწორებას ხალხი იწყებს! თუ ეს არ გავაცნობიერებთ, ძალიან საშიშ პროცესებამდე მივალთ: გახშირდება შემთხვევები, როდესაც ვიღაცას მისი ამა თუ იმ სახის აქტივობის გამო გაუსწორდებიან, რასაც მოჰყვება სამაგიეროს გადახდის „წარმატებული“ მცდელობა და... ქაოსი სხვა კი არაფერია?! დღეს ის ძალები, ვისაც ქვეყანაში არეულობის მოწყობა სურთ და ხელეწიფებათ, გაშიფრულნი და გაუგებელყოფილნი არ არიან. დღემდე მხოლოდ ვვარაუდობთ, ვინ შეიძლება იყოს უახლოეს წარსულში მომხდარი საზარელი მკვლელობების დამკვეთი, კონკრეტულ დამნაშავედ მისვლა კი ჭირს.

ბესო ხარძიანის ინტერესების დამცველი ადვოკატი არ ვყოფილვარ, ამიტომ, საქმის დეტალებზე მსჯელობას ვერ შევძლებ, მაგრამ დანამდვილებით გეტყვი: ბიზნესმენის მკვლელობამ არაერთი მნიშვნელოვანი გზავნილი მოგვცა. ახლა, გარდა იმისა, რომ მკვლელი, ასევე, დანაშაულის დამკვეთი უნდა ვიპოვოთ და დავსაჯოთ, სწორედ ამ გზავნილების ავტორების და ადრესატების ვინაობა უნდა გავშიფროთ. უფრო მეტიც, იმედი მაქვს, ამ მინიშნებების სწორად ამოხსნამ გამოიძევა შეიძლება, სწორ კვალზე დაავიწხოთ. ეს არ ეხება მხოლოდ ხარძიანის საქმეს და ეს დედუქციური მეთოდი ყველა საქმის გამოძიებისას გამოდგება.

„ქვეყანაში საბარტალს ითხოვს ალბანის ბოლო ინსტანცია კომპალი და თოხის ტარი იმ დროს ხდება, როცა ხალხს მოთმინება გამოეწევა, მაგრამ კომპალით ნათლ-სა და ევროპულ ოჯახში არაფერს მიგვიღებს. რამდენჯერაც ამ გზით ნავალთ, იმდენჯერ დავმორღებთ ცივილიზაციულ მსოფლიოს და ბოლოს, საშუალოდ „ტყვი“ დავრჩებით, რაც უბედურებაა!.. თუ საქმეს დროზე არ მივხედით და, პირველ რიგში, უბედურს მოთხოვნილებად კანონიერების განუხრებად დავვა არ გავიხადეთ, საქართველო დარჩება არა ქვეყნად, არამედ – ეგზოტიკურ ადგილად, სადაც მხოლოდ ისინი ჩამოვლენ, ვისაც იაფად უნდა ემსტრები, ზღვა, თოვლი და სინკალი! ინვესტიციებს უცხოელი კი არა, ადგილობრივიც კი არ დააბანდებს იმ, სადაც პრობონიერებადი ერთადერთი რამაა: როგორც კი სულს მოითქვამ და შინი ნაკეთები საქმი ვიღაცას მოეწონება, თავში ხელს წამოგარავს და წილიდან გაბაძეებს, თუ საბარტალს ითხოვს ალბანის მონღოლთა, ერთი მოტოციკლზე „ახედარება“ აკვალის იაფად შოვნაც პრობლემა არ იქნება!“

„თუ გახდებათ და მოგვლათ, თქვენს გვარ-სახელს მსოფლიო მაინც გაიბეჭდს!“

რა ინციდენტი მოხდა ბესო ხარძიანის აკვლელობის წინა დღეს სასაბარტოში, ვინ ემუქრება ადვოკატსა და ექსპერტებს – ელზა ჯემსაძის სპანდალური ინტერვიუ



– ელზა, მართალია, როგორც ადვოკატი, ბესო ხარძიანის საქმეს არ იცნობთ, მაგრამ როგორ ფიქრობთ, მკვლელობის კვალი გია უდესიანამდე მართლა მივა?

– გია უდესიანის სახელი პირველად გუშინ და დღეს არ გავიგია – ყველამ მეტ-ნაკლებად ვიცით, ვინაა კაცი, რომელიც 2012 წლის 1-ლ ოქტომბერს, ანუ პრაქტიკულად, „ნაციონალების“ ხელისუფლებიდან ოფიციალურად წასვლამდე ოჯახიანად გაიხიზნა. ისიც ცნობილია, რომ ციხეში გამოკვეტილი, წამებული ბესო ხარძიანის ბიზნესი ხელში სწორედ გია უდესიანამ ჩაიგდო. გათავისუფლების შემდეგ კი, ბესო ხარძიანმა

ბიზნესის დასაბრუნებლად წამოწყებული სასაბარტო პროცესი მოიგო. მიუხედავად ამისა, ხელალებით იმის მტკიცება, რომ ბესო ხარძიანის მკვლელობა სწორედ გია უდესიანამ დაუკვეთა, მხოლოდ არასერიოზული კი არა, უკანონოცაა. გამოიცილებული არ არის, ამ განხილვებში დაპირისპირებით მას ესარგებლა, ვისაც ქვეყანაში არეულობის მოწყობითა და ხალხის დაშინებით უფრო დიდი, გნებავთ, პოლიტიკური სარგებლის მიღება უნდა.

– ხარძიანის მკვლელობაში უდესიანის მხილება უკანონოა რატომ?

– იმიტომ, რომ კანონი უდანაშაულობა

ის პრეზუმფციას ცნობს და ყველა თავმოყვარე ქვეყანაში ეს პრინციპი მკაცრად დაცული, რასაც საქართველოზე ვერ ვიტყვი. უდანაშაულობის პრეზუმფცია ნიშნავს, რომ ვიდრე ბოლო ინსტანციის სასამართლო განაჩენს არ გამოიტანს, არ შეიძლება, ვინმე დამნაშავედ გამოცხადდეს! მაგალითად, დანიაში ასეთი კანონი მოქმედებს: ნებისმიერი კრიმინალური ისტორიის მონაწილე დამნაშავე, ასევე, დაზარალებული პირების შესახებ დეტალების ფართო ტირაჟირება დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამ საქმეზე კონკრეტული განაჩენის აღსრულებიდან, მინიმუმ, 20 წელია გასული. საქართველოში კი, თითქმის ყოველდღიურად ვხედავთ, რომ საჯაროდ ვრცელდება ინფორმაცია ამა თუ იმ პირის ბრალეულობაზე დანაშაულებრივი ფაქტის გამოვლენიდან რამდენიმე საათში კი არა, რამდენიმე წუთში! ასეთ დროს ადამიანი, პრაქტიკულად, „კედელთანაა მიყვებული“ და არაფერი დარჩენია, გარდა იმისა, რომ საკუთარი უდანაშაულობა ამტკიცოს და ეს იმ დროს, როცა კანონით, ბრალდებული ვალდებული არაა, საკუთარი უდანაშაულობა ამტკიცოს – პირის ბრალეულობის მტკიცების ტვირთი ბრალდების მხარეს ეკისრება...

– დანამდე ბევრი გვიკლია, თან საზოგადოებამ, სადაც ყველაფერი დასაბუთებულია, უნდა იცოდეს, ვინ რისი მაქნისია, არ მეთანხმებით?

– დიახ, გეთანხმებით და სწორედ ამისთვის უნდა არსებობდეს ჯერ კვალიფიციური გამოძიება და ექსპერტიზა, შემდეგ კი, – მართლმსაჯულება, რომელიც სწრაფი, ეფექტური, მიუკერძოებელი და სამართლიანი იქნება. პირის მიერ დანაშაულის ჩადენის ფაქტს, ძალიან მაღალი სტანდარტით, მტკიცებულებათა ერთობლიობა უნდა ადასტურებდეს და არა – ვიღაცის აღიარებითი ჩვენება. როგორც კაცმა არ იცის, რა პირობებშია მოპოვებული. თუ ეს ხარვეზები დროულად არ გამოიხიროდა, სრულ განუკითხაობის მივიღებთ და საქართველოში სამართალწარმოება კვლავ ადამიანების მიმართ ანგარიშსწორების მძლავრი და ნებადართული იარაღი გახდება. ეს „კონი ნანახი“ გვაქვს და ამ მიმართულებით შეცდომებიც აღარ გვეპატიება. ვირი რომ ვირია, თუ ცუდ გზაზე ერთხელ გაიარა, მეორედ, რომ მოკლა, ამ ცუდ გზაზე ფეხს ვეღარ გადადგმევინებ. ჩვენ, ადამიანებს კი, შეცდომებიდან სათანადო დასკვნები, აშკარად, არ ან ვერ გამოგვაქვს!

– ელზა, წელან ქაოსი ასხენეთ. რევოლუციას ელოდებით?

– ცნობილია, რომ რევოლუციას, ყველა დროსა და სივრცეში, ნაძირალები მოხერხებულად ეტმანებოდა. საქართველო გამოიწვევს არც ამ მხრივ და საამისო მაგალითებიც ბლომადაა. ქაოსში ის ვიგულისხმებ, რომ თუ ხელისუფლებამ ფხა არ გამოიჩინა, ტელებრადებებით გაგიჟებული ადამიანები მალე ერთმანეთს დაერევიან და კოცონზე დანავიწვენ. ნურავინ ეგონება, რომ ეს დღეს შეუძლებელია: ამას ნინათ, გია ჯაფარიანის გადაცემაში, კასპელი ბეგლარ ბეგლარიშვილის ოჯახის წევრები წამდვილ კომპარს ჰყვებოდნენ იმის შესახებ, თუ როგორ დაბრალდა ბეგლარ ბეგლარიშვილს ფოგონას გაუპატიურება, როგორ „ადაგ ფეხზე“ სოფელი, რომელმაც ბეგლარიშვილის სახლიც გადაწვა, ბოლოს კი, ბრალდებული პოლიციის მენობიდან გაიტაცა და სოფლის ცენტრში კოცონზე დანავიწვდა. გამოხდა ხანი და გოგონა, ვისი გაუპატიურების ბრალდებითაც ბეგლარიშვილის ოჯახი გაანადგურეს, ხელდაუკარგებელი აღმოჩნდა... ამით იმის თქმა მინდა, რომ უსამართლობით შენ უხებელი და გაბოროტებული ხალხის შეჩერება ძნელია და, ეს რომ არ მოხდეს, ხალხმა დანამდვილებით უნდა იცოდეს, რომ დამნაშავეებს კანონი იძოვის და დასჯის.

სხვათა შორის, სიკვდილით დასჯის გაუქმების ერთ-ერთი მიზეზი, ჰუმანურიზმის გარდა, ის პრაქტიკაც იყო, რომლის თანახმადაც, მას შემდეგ, რაც ადამიანის სიკვდილით დასჯის კანონიერი განაჩენი აღსრულებულა, ან ცხელ გულზე დამნაშავედ გამოცხადებული პირი „ლინჩის წესით“ გაუსაბურთა.



საქართველოს მთავრობის განცხადება

„შენ – უცვლადი ჩამონადენი, მშვენიერება ხომ შენით ითქვა; დიდება შენდა, ჩემო ნათელი – ქართული სიტყვა, ქართული სიტყვა“

კარგა ლინა

საზღვრის საზღვარს იტყვის

80-14 გვირგვინი

მართლაც, წლების შემდეგ, აღმოჩენილია და დამტკიცებულია, რომ დასჯილ დანაშაული არ ჩაუდენია...

– ადამიანის სიკვდილი დასჯა და, მით უფრო, „ლინის წესით“ გასამართლება ნამდვილი ბარბაროსობაა, მაგრამ მკაცრი სასჯელი და ხალხის მხრიდან ანგარიშსწორების შიშიც, რეალურად, დანაშაულის პრევენციის ერთ-ერთი ეფექტური საშუალებაა...

– გეთანხმებით: მკაცრი კანონიერი სასჯელი და ე.წ. სახალხო სამართალიც დიდწილად განაპირობებს მეტ სიფრთხილეს და წინდახედულებას. იმ დროს, როცა კანონი, ანუ სამართალი სახელმწიფოს სახელით არ არსებობდა, ან სუსტი იყო, ამ ურთიერთობას ხალხი აწესრიგებდა, მაგრამ არ დაგვავინყდეს, რომ გადამწყვეტილებებს იმის შესახებ, თუ როგორ გამოეყვინათ და დაესაჯათ ნამდვილი დანაშაული, შეუბღალავი რეპუტაციის უზუცესები იღებდნენ, რომლებიც საკუთარ შვილებსა და საკუთარ თავს არათუ მძიმე დანაშაულს, შეცდომასაც კი არ პატიობდნენ. საამისო მაგალითად თუნდაც „ხევისბერი გოჩა“ გამოდგება, მაგრამ ისიც უნდა ვაღიაროთ, რომ საზოგადოება, რომელიც დანაშაულს მხოლოდ მკაცრი სასჯელის შიშით არ ჩადის, პრაქტიკულად, ველური საზოგადოებაა, ჩვენ კი პრეტენზია გვაქვს, რომ აშშ-ის ასაკისა მხოლოდ კაკლის ხეები გვიდგას. კი ბატონო, საქართველო, როგორც ქვეყანა, გუმინდელი ნამდვილად არ არის, მაგრამ საზოგადოების დონე მხოლოდ ხეების ასაკით არ განისაზღვრება. ისე, ხეებზე ერთი ისტორია გამახსენდა: ერთხელ, ჩხუბს შევესწარი, ერთი მეორეს ეუბნებოდა, შე სოფელი, რა უნდა მასწავლო, მექვეყნა თაობის თბილისელი ვარ, რუსთაველზე გავიზარდეო. სოფელმა მიუგო, რუსთაველზე ხეებიც იზრდებიან, მაგრამ კულტურა და ჭკუა არ მოეკითხებათ! მოკლედ, თუ პრეტენზია გვაქვს, რომ უძველესი ევროპული ქვეყანა ვართ, ჩვენი საზოგადოებაც მეტად ცივილიზებული უნდა იყოს და „ბებერ“ ევროპას სწორედ ღირებულებათა სისტემის სიმართლითა და დახვეწილობით უნდა უტოვებოდეს.

– იტალიაც ევროპაა, მაგრამ მაფიის სამშობლოა. სისხლიანი ქრონიკების ნაკლებობას არც სხვა ევროპული სახელმწიფოები უჩივიან!

– გეთანხმებით, მაგრამ იტალია იმ რეალობაში არ ჩარჩა, სადაც მაფია მთელი სიმძლავრით და სისასტიკით ზეობდა. საამისოდ იტალიამ ძალიან ბევრი გააკეთა. ამ მიმართულებით ყველაზე თვალსაჩინო ერთი ფაქტორია: იტალიელები, მთელ მსოფლიოში, ყველაზე მკაცრად უდგებიან სამართალდამცავ სტრუქტურაში, განსაკუთრებით, მოსამართლედ პირის დანიშვნას და მხოლოდ თანამდებობაზე წარდგენის პროცედურა წლები გრძელდება, რათა კანდიდატის მაფიის წევრებად სავარაუდო კავშირები სრულად იყოს გამოირიცხოს. ჩვენთან კი, სხვა უწყებებს თავი რომ დაუვანებოთ, პოლიციის და პროკურატურის თანამშრომელთა 90 პროცენტი, თუ მეტი არა, ზუსტად ისინი არიან, ვისი ხელისუფლება დანაშაულობაზეა ჩადენილი. ისინი ხელუხლებელი ერთადერთი მიზეზით არიან: ვინმემ პოლიტიკურ ანგარიშსწორებაში არ დაგვადანაშაულოს. შე კი დედამამშვილო, გამოძებნე ერთი-ორი ახალი და შეუბღალავი რეპუტაციის იურისტი, წესიერად გამოაძიებინე საქმე, სასამართლოში, იმ ჩვენი გულშემატკივარი დასავლეთისა თუ აღმოსავლეთის წინაშეც დანაშაულის მამტკიცებელი რეალური ფაქტები დაადებინე და მერე ნახავ, ხმას ვინ ამოიღებს! ეს შეუძლებელი არაა, მაგრამ ფაქტია: ჩვენი ხელისუფლება ამას ვერ ახერხებს, ან ეს ხელისუფლება ისევე კოპაბიტორებულობის ნეტარებაში და ნამდვილ ოცნებაშია გადაჩეხილი! ამიტომ, თუ ვინმე თავს გადადებს და სამართლიანობის აღდგენას შეეცდება, ვერ პროკურატურის ახლადშექმნილ დეპარტამენტში მოუწევს ათასი წინააღმდეგობის გადალახვა იმის სამტკიცებლად, რომ შავი ნამდვილად შავია, მერე კი, სასამართლოში ის მოსამართლე დახვდება, რომლის სახელგანთქმულ ჩაქურსაც დაკანონებული აქვს პოლიციისა და პროკურატურის ხელით ჩადენილი ყვე-



ლა ის განუკითხაობა, რასაც სამართლიანობის აღდგენის მსურველი ასაჩივრებს!

– უზენაესი სასამართლოს ახალი თავმჯდომარე მოსამართლეთა კორპუსის გაჯანსაღებას შეძლებს?

– ვნახოთ... ისე, მოსამართლე სამი წლის გამოსაცდელი ვადით არ უნდა ინიშნებოდეს. მოსამართლე თავიდანვე ძალიან მკაცრი კრიტერიუმებით უნდა შეირჩეს და ნამდვილად უნდა ჰქონდეს სამართლებრივი გარანტია, რომ თუ მისი გადაწყვეტილებები ვიღაც გაველინას არ მოეწონება, არ „მოიფრიალებენ“, მაგრამ კიდევ ერთი ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტორიც არ უნდა დაგვავინყდეს: მოსამართლეებზე სულ „ერთიანი ანგელოზებიც“ რომ ჩამოვსხათ, რეალურად, ისინიც ადამიანები არიან და გამოირიცხებიან არაა, ნებისთინი უნებლიედ, შეცდომები დაუშვან, რაც პასუხისმგებელი მხოლოდ იმიტომ არ უნდა დარჩეს, რომ მოსამართლე ხელშეუხებელია. თუ ამ გზით ვიარებთ, მოსამართლეებს კი არა, ნამდვილ მოსტრებს მივიღებთ და მერე ნახეთ ჩვენი „მხიარულება“!

– რა უნდა ვქნათ?

– საქართველოში კანონით, ანუ ქალაქდზე დიდი ხანია არსებობს და წინა ხელისუფლების დროსაც არსებობდა ორგანო, რომელსაც ევალება, იმსჯელოს მოსამართლეთა დისციპლინურ გადაცდომებზე და თითოეულ საჩივარზე დაექვეტური რეაგირება მოახდინოს, მაგრამ ვინმეს გაგიგიათ, იუსტიციის საბჭოს რომელიმე მოსამართლის პასუხისმგებლობის საკითხი დაეცა?!

– მკონი, მოსამართლისთვის არავის უჩივია...

– მე მიჩვილია და დამისაბუთებია, რომ აშკარად მიკერძოებული და უკანონო განაჩენი დაადგინა, როცა ერთ-ერთ ისეთ მსჯავრდებულს, რომელსაც კანონით, სასჯელთა შეკრება არ უნდა შეეხებოდა, სასჯელები შეუკრება, მაგრამ ამ საჩივარზე არათუ რეაგირება, წერილობითი პასუხიც კი არავის გაუცია იმის დასტურად, რომ საჩივარი ჩაიბარა, იმსჯელა და თუნდაც უსაფუძვლოდ, მაგრამ დაასკვნა, რომ ვტყუოდი! არადა, ამ საქმეში სასჯელთა შეკრების პრინციპის გამოყენება იმდენად უკანონო იყო, რომ განაჩენშიც არ მიუთითებიათ, სასჯელები ამა და ამ მუხლის ძალით შეიკრიბათ!

– მოკლედ, აუცილებელია, რეალურად ამუშავდეს მკვდრადშობილი ორგანო – იუსტიციის უმაღლესი საბჭო, რომელიც ვალდებულია, მოსამართლის მიერ ჩადენილ გადაცდომებს სათანადო ობიექტური შეფასება მისცეს. თუ ეს არ მოხდება, სამართლიანი სასამართლოს დაპირება ხალხის მორიგი დაცინვა იქნება და მეტი არაფერი!

– გამოდის, რომ საშველი არაა და თავდასაცავად კომბლებით უნდა შევიარადდეთ?

– ქვეყანაში სამართლიანობის აღდგენის ბოლო ინსტანცია კომპალი და თოხის ტარი იმ დროს ხდება, როცა ხალხს მოითხოვება გამოეუღვა, მაგრამ კომბლებით ნატოსა და ევროპულ ოჯახში არავინ მიგვიღებს. რამდენჯერაც ამ გზით წავალთ, იმდენჯერ დაგვმორბეობთ ცივილიზებულ მსოფლიოს

და ბოლოს, სამუდამოდ „ტყეში“ დავრჩებით, რაც უბედურებაა! აბა, გავისხნოთ, ნორმალურ, კულტურულ ოჯახს რა მოთხოვნები აქვს სასიძისა და სარძლოს მიმართ: არავის უნდა, ოჯახსა და ნათესაობაში შემოუშვას ადამიანი, ვინც დანა-ჩანგლის ხმარება არ იცის და, როცა ოჯახის წევრები სერიოზულ თემებზე მსჯელობენ, მას მონაწილეობისგან ცხვირში თითი აქვს შეყოფილი! თუ საქმეს დროზე არ მივხედვით და, პირველ რიგში, უმაღლეს მოთხოვნილებად კანონიერების განზრუნვად დავცვა არ გავინახავთ, საქართველო დარჩება არა ქვეყნად, არამედ – ეგზოტიკურ ადგილად, სადაც მხოლოდ ისინი ჩამოვლენ, ვისაც იაფად უნდა ექსტრემი, ზღვა, თოვლი და ხინკალი! ინვესტიციებს უტყობელი კი არა, ადგილობრივიც კი არ დააბანდებს იქ, სადაც პროგრესი უნდა იქნებოდეს ერთადერთი რამაა: როგორც კი სულს მოითქვამ და შენი ნაკეთები საქმე ვილაცას მოეწონება, თავში ხელს წამოგაკრავს და წილიდან გაგაძევებს, თუ სამართლიანობის აღდგენას მოინდომებ, ერთი მოტიციკლზე „აშხედრებულ“ მკვლელის იაფად შოვნაც პრობლემა არ იქნება! უფიქრია ვინმეს, საიდან მოაქვს „ნაცმოდრაობას“ ფული საპროტესტო აქციების მოსაწყობად? ყველაფერს თავიც რომ დაგვანებოთ, ვიცით, რა ღირს, მინიმუმ, ერთი პლაკატის დამზადება...

– თქვენი ინფორმაციით, საიდან მოაქვს?

– ის ბიზნესები და უძრავი ქონება, რაც „ნაციონალურმა“ ხალხს წაართვა, მოქმედებს და შემოსავალს იძლევა. ეს დიდი ფულია. სამართლიანობის აღდგენა იმიტომ კი არ ჭირს, რომ ძნელია გამოძიება, ვინ, ვის, რა და როგორ წაართვა. არამედ, იმიტომ, რომ როცა საქმეში ვინმეს ბრალდებას ქმედება იკვეთება, ეს პირდაპირ ნიშნავს, რომ მან ვილაცას ზიანი მიაცხა. ეს „ვილაცა“ კი, წესით და კანონით, არა მხოლოდ დაზარალებულად უნდა იყოს ცნობილი, მას ზიანიც უნდა აუნაზღაურდეს. რაც საქმეებში ზიანის ანაზღაურება აუცილებლად ფულად კომპენსაციამდე მივა, თუ მითვისებულა მოძრავი ქონება, რომელიც განადგურდა, ან გაცვდა და დაკარგა თვითღირებულება. ასეთ შემთხვევებში ხელისუფლება დაზარალებულად ცნობილ პირებს, ალბათ, ზიანის ოდენობას დაუთვლის და ანაზღაურების ვალდებულებას აუცილებლად დროში განერს. ადრეც ვთქვი და ვიმეორებ: იმ ოდენობის ზიანს, რაც მოსახლეობას „ნაციონალურმა“ მიაცხენს, ვერც ერთი ქვეყნის მიუხედავად უნდა მოსმით ვერ აანაზღაურებს და ისიც ფაქტია, რომ ვერ შეეძლებოდა, ხალხისგან წართმეული პირადად მას მოვატანინოთ, ვინც წაიღო. მოკლედ, ამ ვალდებულებას იკისრებს სახელმწიფო, რეალურად კი, – ხალხი, რადგან ზიანის ანაზღაურება ბიუჯეტიდან მოხდება. აი, სწორედ ეს აშფოთებთ მათ, ვის ხელშიც დღეს ხალხისთვის წართმეული უძრავი ქონება და ბიზნეს-ნიღები მოქცეული. საქართველოში სამართლიანობის აღდგენის პროცესი დაუნდობელი ქონებრივი ბრძოლა იქნება და ამიტომ მგონია, რომ ბესო ხარძიანის მკვლე-

ლებს სწორედ ამაზე მინიშნება უფრო უნდოდათ, ვიდრე – სასამართლოში წაგებულ საქმეზე გადამწყვეტილების აღსრულების პროცესის გახანგრძლივება ან, სულაც, შეჩერება. ბესო ხარძიანის მკვლელობით მისი მოგებული საქმის წარმოების გაგრძელებისა და გადამწყვეტილების აღსრულების პროცესების შეჩერება ვერ მოხდება, რადგან ამ ბრძოლის გაგრძელების კანონიერი უფლება მის მემკვიდრეებს აქვთ, რომლებიც ამ პროცესს გააგრძელებენ, თუ არ დაშინდნენ.

სამწუხაროდ, ამ სისხლიანი „მესიჯის“ ადრესატები მხოლოდ ბესო ხარძიანის სამართალმემკვიდრეები არ არიან. ამ გზავნილის ადრესატი ყველა ის პირია, რომელიც სამართლიანობის აღდგენისთვის იბრძვის.

გინდათ, ერთი მაგარი ამბავი გითხრათ?

– რა ამბავი?
– „ქართული სიტყვის“ წინა ნომერში გამოქვეყნდა მასალა, სადაც ვამბობდი, რომ ქალაქის პროკურორის მოადგილედ დანიშნულია და ე.წ. ექსპერტების საქმეს კურირებს დავით კუტალაძე – ეს სწორედ ის პირია, ვისაც თავის დროზე „ნაციონალების“ დავალებით, ამ საქმეში უკანონოები აქვს ჩადენილი – ამის შესახებ ყველამ ყველაფერი იცის, მაგრამ პროკურატურა, პრაქტიკულად, ძებნილი ზურაბ ადვიშვილის დასყვებულ საქმეს აგრძელებს. იცით, ამ მასალის გამოქვეყნებას რა მოჰყვა? – სასამართლო პროცესზე, რომელიც, სხვათა შორის, სწორედ ხარძიანის მკვლელობის წინა დღეს გაიმართა, ერთ-ერთ უკანონოდ ბრალდებულთან (ექსპერტთან) „ნაცებთან“ შმაშურში შემჩნეული კაცი მივიდა და „გულისტკივლით“ უთხრა, აქამდე თქვენს მიმართ პროკურატურა ნორმალურად იყო განწყობილი, მაგრამ რადგან თქვენმა ადვოკატმა გაზეთში ის დაწერა, რაც დაწერა, ანუ ეს საქმე „პოლიტიკურში“ გადაიყვანა, „იქ“ გაბრაზებულები არიან და ღმერთმა უწყის, რას იზამენო. ზუსტად ვიცი, ის კაცი „გულშემატკივრის“ პოზიციით რატომ მივიდა ბრალდებულთან და არა – პირდაპირ ჩემთან...

– რატომ?

– ეს უდანაშაულო ბრალდებულების გადაბირების, ირიბად, დაშინების გზით გადაბირების მცდელობა იყო: იმ შემთხვევაში, თუკი ექსპერტები ჩათვლიან, რომ პროკურატურასთან გარიგება და ამ გზით თავის ცოცხლად გადარჩენა ურჩევნიათ, მაშინ ჩემმა დასაცავმა პირებმა აცილება უნდა მომეცინ, ან მინიმუმ, უნდა მოხსრან, რომ მომავალში ისეთი არაფერი მოვიმოქმედო, რაც პროკურატურას გაანაწყენებს!

– ამ გაფრთხილებაზე ექსპერტებს რა რეაქცია ჰქონდათ?

– ექსპერტები კიდევ უფრო დარწმუნდნენ, რომ სწორ გზაზე ვდგავართ, როდესაც უკანონობას არ ვურთიგებდით, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ბესო ხარძიანის მკვლელობის შემდეგ, ამ გზაზე დგომა გაცილებით სახიფათოა!

– ანუ, თქვენდამი მუქარასა და დაშინების მცდელობას ხარძიანის მკვლელობასთან შესაძლოა, კავშირი ჰქონდეს?

– ყველაფერს ხარძიანის მკვლელობასთან მხოლოდ შემოსხენებული მიზეზ-შედეგობრივი და ლოგიკური კავშირი აქვს: მეც და ყველა ის პირიც, ვის ინტერესებსა სამართლიანობის აღდგენის მიზნით ვიცავდი და დღესაც ვიცი, პროკურატურიდან ირიბად შემონათვალ ამ სიტყვებს მუქარად აღვიქვამთ, ამიტომ საჯაროდ ვაცხადებ: არ გაბედონ და აზრად ზედმეტი არაფერი მოუვიდეთ, თორემ უკვე მიღებული მაქვს ზომები, რომ ნებისმიერ შემთხვევაში, რომც მომკლან, დაუყოვნებლივ, მხოლოდ საქართველოსთვის კი არა, მთელი მსოფლიოსთვის ცნობილი გახდება ჩემს მიმართ ჩადენილი ნებისმიერი სახის დანაშაულის გასასხნელად საჭირო ყველა უტყუარი მტკიცებულება და მათი გვარ-სახელებიც, ვინც ამ და სხვა მსუბუქი თუ მძიმე მუქარის შემცველ შემონათვალებს გვიგზავნის. მიმაჩნია, რომ თუ დავმინდებთ, ამით, სიცოცხლის გადარჩენის შანსს შევიმირებთ, რადგან ცნობილია, რომ მონებს გაცილებით ადვილად, უპრობლემოდ და სამარცხვინოდ ხოცავენ!

ესაუბრა მერიკა კახიძე



ლექსიკონი. ჟურნალი. ჟურნალი.

„შენ – უკვდავების ჩამონადენო, მშენიერებას სომ შენით იტყვა; დიდება შენდა, ჩემო ნათელი – ქართული სიტყვა, ქართული სიტყვა“

ვიკტორ ჯორჯიანი

განათლება

სოლომონ პავლიაშვილი: „ამერიკელები ქართული უმაღლესი სასწავლებლებით დაინტერესდნენ!“

თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის რექტორი, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, ეკონომიკის ექსპერტი სოლომონ პავლიაშვილი რამდენიმე დღის წინ, აშშ-დან დაბრუნდა, სადაც, ქართულ დელეგაციასთან ერთად, თურქულ-ამერიკული ალიანსის მიერ გაშინგტონში გამართულ „თურქულ-ამერიკულ ფორუმსა და ბიზნესსამიტს“ („Turkic American Convention & Business Summit“) დაესწრო. რატომ იყო მნიშვნელოვანი ქართველების ზემოხსენებულ ფორუმში მონაწილეობა? – „ქართული სიტყვა“ სოლომონ პავლიაშვილი ესაუბრა:

თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის რექტორი ამერიკელ კონგრესმენებს შეხვდა

– ჩემთან ერთად საქართველოდან თურქულ-ამერიკული ალიანსის ფორუმის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის რექტორმა ილიას ჩილოღლუმ, გენერალურმა მდივანმა რესულ დიკმენმა, სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე ადემ ონელმა, ამავე უნივერსიტეტის პროფესორმა რომან გოცირიძემ და სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა, პროფესორმა ჯონი აფაქიძემ. ქართულ-თურქული დელეგაციის შემადგენლობაში ასევე იყვნენ ბიზნესმენები – მეჰმეტ შურქითი (სავაჭრო კომპანია „დაფნა“ და ნიაზ ნურიევი. ვიზიტის ინიციატორი საქართველოდან იყო შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი, რისთვისაც მის რექტორს, ბატონ ილიას ჩილოღლუს დიდ მადლობას ვუხდით.

ყოველწლიური სამიტი მხოლოდ განათლების ბიზნესს ესება?

– არა, სამიტი ბიზნესის ყველა სფერო – განათლება, კულტურა, ეკონომიკა წარმოადგენს. სამიტის მუშაობაში პოლიტიკოსები და სხვადასხვა, მათ შორის, აფრიკის, ლათინური ამერიკის, აზიის და პოსტსაბჭოთა ქვეყნების თურქული სათვისტომოების წარმომადგენლებიც მონაწილეობდნენ. გახსნას 25 კონგრესმენი და სენატორი დაესწრო.

სხვათა შორის, თბილისის სასწავლო და შავი ზღვის უნივერსიტეტებს გრძელვადიანი თანამშრომლობის მემორანდუმში გვაქვს გაფორმებული, რაც ერთობლივი პროგრამების განხორციელებას, სტუდენტური კონფერენციების მოწყობასა თუ აკადემიური პერსონალის გაცვლას გულისხმობს. საერთოდ, შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი საქართველოს განათლების ბაზარზე ერთ-ერთი ლიდერია.

ფორუმში ქართული დელეგაციის მონაწილეობის მიზანი რა იყო?

– რა და, თუ როგორ უნდა ჩაერთოს ჩვენი უმაღლესი განათლების სისტემა საერთაშორისო სივრცეში ანუ ამ შემთხვევაში, თბილისის სასწავლო უნივერსიტეტმა თურქულ-ამერიკულ და სხვა სასწავლებლებთან ურთიერთობა როგორ დაამყაროს.

ბატონო სოლომონ, გაშინგტონში მხოლოდ ბიზნესფორუმს დაესწარით თუ სხვა შეხვედრებზე გამართეთ?

– შეხვედრებზე გვექნა. – ვისთან? – საქართველოს დელეგაციის წარმომადგენლები (რომან გოცირიძე, ჯონი აფაქიძე, მე და ილიას ჩილოღლუ) ამერიკის სენატსა და კონგრესში შეხვედრით არაერთ ცნობილ პოლიტიკოსს. მათ შორის სენატორ ჯონ დონელის, კონგრესმენებს ჯერი მაკნერნის კალიფორნიიდან, ტონი გარდნიას, ენ კირკპატრიკს არიზონიდან და სხვ. ქართული დელეგაცია მინვეული იყო ასევე თეთრი სახლის საკონფერენციო ცენტრში, რონალდ რეიგანის სახლსა და საერთაშორისო სავაჭრო ცენტრში. ასევე, ვიმყოფებით აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტში, სადაც შეხვედრით კავკასიის საკითხებისა და რეგიონალური კონფლიქტების განყოფილების დირექტორს ჯონ მარკ პომერსპაიმს. არიზონელმა კონგრესმენმა ქალბატონმა, რომელიც საქართველოში ნამყოფია, გვითხრა, ნებისმიერი თანამშრომლობისთვის მზად ვართო. საერთოდ, ამერიკელებისგან დიდი მხარდაჭერა ვიგრძენით. სამიტის დამთავრების შემდეგ, შეხვედრა გაიმართა საქართველოს საელჩოში ვაშ-

ინგტონში, სადაც ქართული დელეგაცია შეხვდა საქართველოს ელჩის მოადგილეს გიორგი ხელაშვილს და პირველ მდივანს სოფიო კუპრაძეს. ძალიან სასიხარულო იყო, რომ ჩვენი საელჩო განთავსებულია ახალ ოფისში, რომლის შექმნაც ბოლო პერიოდში განხორციელდა. ელჩის მოადგილემ გიორგი ხელაშვილმა ამერიკულ უნივერსიტეტებთან კავშირების დამყარებაში მხარდაჭერას დაგვიპირდა.

კონკრეტულ გადაწყვეტილებამდე მიხედვით?

– ამ ეტაპზე იმაზე ლაპარაკი, რომ ჩვენმა სტუდენტებმა აშშ-ში უფასო (გზის ხარჯები არ იგულისხმება) ერთი სემესტრი გაიარონ. ამასთან, North American University-თან, რომლის რექტორთა საბჭოს თავმჯდომარე თურქული წარმომადგენელია, გრძელვადიანი თანამშრომლობაზე შევეთანხმდით – თუკი ბიზნესის ადმინისტრირებასა და ტურიზმში ინგლისურენოვან პროგრამებს გვაკეთებთ, ლიტერატურით დაგვეხმარება. სხვათა შორის, ასეთი სახის თანამშრომლობა, პოლონეთის აგრარულ და გერმანიის ეიზშტატის უნივერსიტეტებთანაც გვაქვს.

ბატონო სოლომონ, ქართული განათლების სისტემა ამერიკულს და, საერთოდ, მსოფლიო მოთხოვნებს აკმაყოფილებს?

– ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი მსოფლიო უნივერსიტეტებს შორის 2 600-ე ადგილზეა, რომელიც საქართველოს უნივერსიტეტებს შორის პირველ ადგილზეა. ამავე შეფასებით ისე, თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი საქართველოში მე-17 ადგილზეა... რაც არც თუ ცუდი მაჩვენებელია 70 უნივერსიტეტსა და აკადემიურ კოლეჯს შორის. მართალია, ბოლონის პროცესის მონაწილენი ვართ, მაგრამ ჩვენი და საერთოდ, პოსტსაბჭოთა ქვეყნების განათლების სისტემა მსოფლიო უმაღლესი განათლების დონისგან საკმაოდ შორსაა, რაზეც გარკვეულ გავლენას ეკონომიკური გარემოც ახდენს, სოციალური პრობლემებიც და პოლიტიკური სიტუაციაც.

თქვენი აზრით, საქართველოს განათლების ბიზნესის დახვეწის პოტენცია აქვს?

– პოტენცია, რა თქმა უნდა, გვაქვს, მაგრამ პრობლემა ისაა, რომ საქართველოში, უმაღლესი განათლების სისტემაში, ინვესტიციის ჩადებისგან თავს იკავებენ. არადა, კერძო სასწავლებლებს ფინანსური მხარდაჭერა ძალიან სჭირდებათ – სახელმწიფომ გადასახადებზე შეიძლება, გარკვეული შეღავათებიც დაანუსოს... ჩვენი განათლების სისტემა მსოფლიო სტანდარტებს რომ მიუახლოვდეს, საამისოდ აკადემიური პერსონალიც მზად უნდა იყოს. ამ კუთხით დღევანდელი დოქტურანტების იმედი მაქვს, რომლებიც უცხო ენასა თუ თანამედროვე ტექნოლოგიებს მშვენივრად ფლობენ და ხვალზე ლექციების კითხვას დაიწყებენ. რა დასამალია – ზოგიერთი პროფესორი, 40 წელია, მუშაობს და საკუთარი თავის ახლებურად დანახვა არ უნდა, თუმცა სამსახურიდან მაინც ვერ გაუშვებ...

ბატონო სოლომონ, თუკი ჩვენი განათლების სისტემა მსოფლიოს სტანდარტებს მაინცდამაინც ვერ აკმაყოფილებს, აბა, პაკისტანსა თუ ინდოეთიდან ახალგაზრდები სასწავლებლად აქ რატომ ჩამოდიან?

– იმიტომ, რომ ჯერ ერთი, სწავლის გადასახადი დაბალია. მეორეც, ყველაფრის მიუხედავად, ქართული დიპლომი მთელ მსოფლიოში აღიარებულია, თან საქართველოში საცხოვრებელი პირობების შექმნა ძვირი არ უჯდებათ.



ოფლიოში აღიარებულია, თან საქართველოში საცხოვრებელი პირობების შექმნა ძვირი არ უჯდებათ. – უცხოელები თბილისის სასწავლო უნივერსიტეტში რატომ არ სწავლობენ? – კარგი შეკითხვაა: განათლების სამინისტროს უკვე მივმართეთ თხოვნით, რომ ბიზნესის ადმინისტრირებისა და ტურიზმის ინგლისურენოვანი პროგრამების განხორციელების ნება დაგვართოს. საერთოდ, ჩვენი უნივერსიტეტი პროგრამების მხრივ გაჯერებულია – 16 სპეციალობა გვაქვს. სხვათა შორის, უცხოელი სტუდენტებისთვის ქართული ენის სწავლების პროგრამასაც ვაკეთებთ ანუ სტუდენტებს ერთი წელი ქართულში მოვამზადებთ და შემდეგ, ვთქვათ, აგროინჟინერიასა და სოფლის მეურნეობის სხვა პროგრამებს, რომლებიც აფრიკის ქვეყნებისთვის ძალიან საინტერესოა, ქართულად ვასწავლით. ისე, თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი ერთადერთი კერძო სასწავლებელია, რომელსაც ამდენი აგრარული პროგრამები აქვს – ყველა მათგანი, კარგად გამოგეთ და, პატრიოტული სულისკვეთებითაა გაკეთებული. ძლიერი აკადემიური პერსონალიც გვყავს, მაგრამ მოდური არაა და პირველ კურსზე ექვსი სტუ-

დენცია, მეორეზე – ორი. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ წელს მიღება აგროინჟინერიის სპეციალობაზეც გვექნება. სახელმწიფო ამ პროგრამებს მხოლოდ სახელმწიფო უმაღლეს სასწავლებლებში აფინანსებს, რაც გარკვეულწილად მონოპოლიურ გარემოს ქმნის: გრანტს სტუდენტი იღებს და სახელმწიფოსთვის რა მნიშვნელობა აქვს, სტუდენტი სახელმწიფო სასწავლებელში ისწავლის თუ კერძოში? მოკლედ, საქართველოში იმის მოტივაცია, რომ განათლების ბიზნესში ინვესტიციები ჩაიდოს, ძალიან ნაკლებია. ეს ბიზნესი სპეციფიკურიც გახდა – მუშაობას ის აგრძელებს, ვინც დამკვიდრებულია და ახალი არ შემოდის. ისიც პრობლემაა, რომ საქართველოში შრომის ბაზარი არაა შესწავლილი, რასაც კერძო სასწავლებლები ვერ ჩაატარებენ. შრომის ბაზარი სახელმწიფომ უნდა შეისწავლოს და ის ინფორმაცია მაინც გვექნება, ყოველწლიურად, მაგალითად, რამდენი ეკონომისტი, იურისტი თუ აგროინჟინერი უნდა მოვამზადოთ. ეს რომ გვეცოდინება, სასწავლებლის განვითარების სხვაწარსტრატეგიას შევქმნით... ესაუბრა საბა მებრალინი



„შენ“ უკვდავების ჩამონადენი, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა; დიდება შენდა, ჩემო ნათელი — ქართული სიტყვა, ქართული სიტყვაა“

ვახტანგ კვიციანი

საქართველო. საქართველო. საქართველო.

საზოგადოება



„არ „მევისებრიან“ ნასწავლი ტიპები, ძეგლი“ — რას ვიძროს ხალხი „ქურდული გაბეზის“ ახალგაზრდებზე

„გაბეზული ტიპების“ ანატომია

„გაბეზულები“ — ამ ტერმინის ზუსტი განმარტება ძნელია. ზოგისთვის „გაბეზულები“ პრობლემებთან ასოცირდება, ზოგისთვის — „კაი ტიპობასთან“. ასეა თუ ისე, ყველა „გაბეზული“ ერთმანეთს შგავს... 21 წლის გიო თავს „ჭეშმარიტ გაბეზულად“ თვლის:

— „გაბეზრი“ არაა, „გაბეზული“ ვა!.. რავი, ძმაო, რას ხედავთ იმაში ცუდს, როცა კაცი თავისი სიტყვით აგვარებდეს ყველაფერს? ნუ ზოგჯერ, როცა სიტყვა არ ჭრის, შესაბამისად ვმოქმედებ... შენი გამოხედვითაც რომ მიახვედრებ, თუ რა გინდა და რას ეუბნები, ამ აზრზე მაგარი რამე, „პროსტა“, არ არსებობს. ცუდი „ტიპი“ არავისთვის ვარ, რა, და არც არავის ვემტერები. ერთადერთი, თუ ვინმე შემიხედავს, ორ იმდენს მე შევეხები და მომავალში ველოდები, საქმე ვისთანაც აქვს... ცხოვრებაში არაფრის მემინია და არც შემშინებია, ღმერთის გარდა! ყველამ კაცურად, ღვთის შიშით და რწმენით უნდა ვიცხოვროთ, ძმაო, და ჩვენი სიმართლე ბოლომდე უნდა გავიტანოთ. კაცობა, ძმაო, მართალი სიტყვისა და საქმის მოგვარების გარდა არაფერია! ერთი კიდევ: ყველამ უნდა მიიღოს თავისი მისაღები და ის, რაც ეკუთვნის. მე კიდევ, მთელი ჩემი ცხოვრება, ძმაო, მაგას ვაკეთებ, როცა ყველას საკადრისი პასუხი გაცეცხვდება.

არ „მევისებრიან“, ეს ნასწავლი ტიპები რო დადიან — არ აქვს მნიშვნელობა, გეცოდინება თუ არა, რომელი ომი რომელ წელს მოხდა. მთავარი კაცობაა, ძმაო. ამიტომაც, რამდენჯერ წამირთმევია მაგათთვის ფული და ხანდახან რაღაცებს ვაკისრებინებ ხოლმე. მაგათ რო „დაუბაბე“, ეგრევე „დაბროზე“ მოდიან. არაფერი მემულება — თეთრიც ვიცი და შავიც, ყველაფერი ვიცი ზომიერების ფარგლებში...

დღევანდელი გოგოები არ მომწონს მაგრად. კი, ძმაო, როგორ არა, მესმის, ქალსაც უნდა თავისი საქმე, მარა ქმარზე წინ არ უნდა წავიდეს, ძმაო. ამათ, კიდე, რაღაც უბედურება სჭირთ, „კარიზი“. კაცი არის კაცი და რო იტყვის, ისე უნდა გაკეთდეს და ქალმა იცოდეს თავისი ადგილი. კი არავინ ეუბნება, სახლში გამოიკეტე, მარა დაქალსაც, მეგობარსაც, დედასაც, მამასაც აქვს თავისი დრო და ფორმა. ყოველ კვირას კი არ უნდა გახვიდე სახლიდან! ისიც მეყოფა, მე რო ვარ გასული და ახლა ჩემი ცოლი რო სახლში არ გაჩერდეს, ხო დავუხვრიტე კოჭები?! ძმაო, ჩემი საცოლე, ჩემი ნინუცა, 13 წლიდან მიყვარს და მე ვზრდი მაგ გოგოს. ისე გავზარდე, იცის ეგ ყველაფერი და არ ეშლება. წასვლაც დროზე იცის, მისვლაც და მოსვლაც. ერთს რო ვეტყვი და რო შევხედავ, ყველაფერი გაგებულნი აქვს, არ გაიგებს და „დალმეც“, იცის, რა მოყვება. ჯერ ცოლად იმიტო არ მომყავს, რო ვაცდი, ბოლომდე გაიზარდოს. ერთი სიტყვით, ძმაო, ასეთია ჩემი ცხოვრება და ასეთი იქნება ყოველთვის. მუშაობას და ვილაცის ხელში ყურებას ნაღდად არ დავინებ და, მით უმეტეს, ნინუცას არ ვამუშავებ არასოდეს. დაჯდება სახლში და არაფერი მოაკლდება. მე და ჩემ სამოსს არ გავციქირდება ისე, რო ცოლები ვამუშაოთ. ჩვენ ბიზნესს „მივცხებთ“ და ღვთის წყალობით, რამე იქნე-

ბა უეჭველად. ასე იქნება, რადგან ასე ვამბობ და მე რო რაღაცას ვამბობ, იმიტო ვამბობ, რო ვამბობ და უნდა გაკეთდეს, „ბაბუ“.

მამა, 17 წლის: „— აუუუ, ძაან კაი ტიპები არიან „გაბეზულები“ — საყვარლები და „შემსრულებლები“, „იმიენა“. საერთოდ, კაცი უნდა იყოს მასეთი, რა! აი, რამდენ ბიჭთან მქონდა უთანხმოება და ვინ რა სისულელეს აღარ ლაპარაკობდა, მარა რაც ჩემს ცხოვრებაში თოკო გამოჩნდა, ყველაფერი მოგვარა, „ვაფშე“. „დაჟე“, „ფეისბუქზეც“ რო ვინმე სურათს „მილაიქებს“, თოკო იმასაც აკონტროლებს და მაგაზეც „მიჭყავს“ — აუ, ისეთი საყვარელია მაგ დროს... ვილაც უცნობა და მინერა ადრე ფოტოზე, რა ლამაზი ხარო და ზუსტად ათ წუთში თვითონვე ნაშალა თავისი კომენტარი. აი, უეჭველი, თოკომ მაგრად დააშინა. „პროსტა“, ძაან ბედნიერი ვარ და ქუჩაშიც თავანუელი დავდივარ: აბა, ვინმემ რამე მიხიხრა... ნუ, დაქალებთან აღარ მიშვებს — მესმის, ბიჭია და არ მოწონს, მაგის გარეშე რო გავდივარ გარეთ და ნერვიულობს. ამას წინათ, გაითხარი, გამიშვი-თქო და ისეთი „ჩამიტარა“, მეტჯერ ნაღდად აღარ ვეტყვი. ერთი ისაა ცუდი, რო ხანდახან მენახებოდა, მარა მაგასაც, ჩემთვის რო კარგი უნდა, მაგ იტო აკეთებს. ახლა თოკო ჩემს ჩაცმასაც აკონტროლებს — მოკლე კაბას არ მაცმევს, „მანიკურებს“ არ მასმევიწყებს და რაღაცები. ერთხელ არ დავუჯერე მარტო — ჩავიცვი მოკლე კაბა, გაიგო და, „პროსტა“, აი, მარტო მაშინ და მარტო ერთხელ შემიხედა, ეგ იყო პირველი და უკანასკნელი, ოღონდ მართლა. მე ვაპატიე, რა თქმა უნდა, მაგას იმდენი კარგი რამე აქვს ჩემთვის გაკეთებული, გაბრუნდა ერთხელ და რა მოხდა, თან ესეც ჩემი ბრალი იყო. თვითონ მეუბნება, ეკუშ, ხო იცი, ჩემ სიცოცხლეს არასდროს ვანყენებოდა და თუ მაინც არ ვურიგდები, მერე მეტყვი ხოლმე, კაი, „შე ჩემა“, რა მოგივიდაო? და... მაგ დროს ვითინებო... თან რო გამიღიებებს და ცხვირზე მომქაჩავს, როგორ გინდა, „პროსტა“, არ შეურიგდე, ისეთი საყვარელია. ძაან ბედნიერი ვარ და ყველაზე, ყველაზე ბედნიერი ვარ, თოკო რო ჩემთანაა და ვუყვარვარ“.

მამა, 32 წლის: „— კაი, რა, თუ ძმა ხარ, რა-ის „გაბეზულები“? ქუჩა „მესმის“ და მეც ქუჩაში ვავიზარდე, მარა დღეს რო არიან, ეგეთი არასოდეს ვყოფილვარ. ადრე, ძმაო, სიმართლე იყო და „ქურდული“ თავის საქმეს და გასაკეთებელს აკეთებდა. ახლა სადაა არიან სერიოზული ძველი ბიჭები? — „ბეზპრიდელეები“ არიან ყველგან. ადრე, ძმაო, ქუჩაში ძველი ბიჭი როცა ლაპარაკობდა და იქ ვინმეს ხელი აეწია, ასეთი რამ არ ხდებოდა. სიტყვით და ლაპარაკით გვარდებოდა ყველაფერი და შენს სიმართლეს პატიოსანი კაცი არ დაკარგავდი. ახლა, თუ პატიოსანი ხარ და არაქურდული ცხოვრება გაქვს, ქუჩაში ველარაფერს დაამტკიცებ, ან ვინ გაცლის დამტკიცებ-

ას, ეგრევე დანას გაგიყრიან მუცელში. ამათ არც სიმართლე აინტერესებთ და არც — არაფერი, „ლიუბი“ თვითონ „გაისწორონ“ და ვინმე დაჩაგრონ, თან გატყუებენ არიან ეს პატარა ხულიგნები. სერიოზულებიდან ნასწავლი „კაი ბიჭობისა“ რა ვთქვი! ქალის პატივიც ვამა ამით არ აქვთ და უფროს-უმცროსი არ იცინა. არა, ძმაო, არა — ეს „გაბეზულები“ არიან თუ რაც არიან, დიდი საზიზღარი ხალხია“.

მამა, 28 წლის: „გაბეზულები“ თინეიჯერ გოგოებს ისევე მოსწონთ, ხო? — მეც მაგ მოწონებამ დამლუბა: ვიფიქრე, რა მაგრები არიან, ყველა პრობლემას აგვარებენ, უკეთესი საზოგადოება არც არსებობს-მეთქი და 17 წლის ვიყავი, როცა გავთხოვდი. მეგონა, უზრუნველი და ბედნიერი ცხოვრება მექნებოდა და ყველაფერი ამისრულდებოდა, რასაც ვინ-ატრებდი, მაგრამ ქორნილიდან 2 თვეში გათხოვება ვინანე: ვახოსთან ცხოვრება ჯოჯოხეთი იყო. ქალს აუცილებლად სჭირდება რეალიზაცია, რომ თავს ქალად და დედად აღიქვამდეს. ვახო თავიდან შემეპირდა, თავისთვის თვე რომ დამთავრდება, სწავლას გააგრძელებ და იმუშავებო, მაგრამ ქორნილის მერე გამოიცხადა, აღარ იცნავდით... მისი მეგობრები თითქმის 7 თვის ორსულს გაამარტყა. რომ გავშორდი, ბავშვი ახალდაბადებულ იყო... დედანემთან მაკითხავდა და მეუბნებოდა, იცოდე, მაინც ჩემი ცოლი ხარ და არაფერი გაბეზო. 4 წლის წინ, ძალიან კარგად დამიანზე გავთხოვდი, ჩემი ახლანდელი მეუღლე ნესიერი, პატიოსანი, ჭკვიანი ადამიანია. არც სწავლას მიშლის და არც — მუშაობას. მეც თავს რეალიზებულად და ბედნიერად ვგრძნობ. ვახო რომ გაიგო, გათხოვდაო, მოგვიყვარა და ჩემს მეუღლეს ეჩხუბა, თუმცა ვუჩივლე და ახლა ახლოს მოკარებაც აკრძავენ და აქვს. გოგონებო, დამიჯერეთ, ქუჩის ბიჭებში კარგი არაფერია. ნუ დაუშვებთ შეცდომას, თავს ნუ გაიუბედურებთ!.. უხეში და გაუნათლებელი მამაკაცი არაფერში გამოგადგებათ!“


ლამა, 19 წლის: „— „გაბეზულები“ ჩემი თაობის ჭირია — ყველგან არიან და შენ გემოზე ქუჩაში ვერ გაგივლია. ნეტავ, რა სიამოვნებას ნახულობენ, სულ დაძაბული სახით რომ დადიან? ამას წინათ, მე და ჩემი მეგობარი უნივერსიტეტის წინ ვიდექით, რაღაცაზე ხმაამალა გავიცინეთ. დაახლოებით, 10 მეტრში „გაბეზულები“ იდგნენ, ერთმა გამოგვხედა, ხელში რაღაც შეათამაშა, „ერიბანები“ გაისწორა და, ჩვენ გვითხარით რამე? — დავიყვირა. არა-მეთქი, — ვუბასუხე, მაგრამ ჩვენსკენ თავის ქნევით წამოვიდნენ, იდგნენ და „ნაგლად“ გვიყურებდნენ. მერე, ალბათ,

მოხებრდათ, გადააფურთხეს და წავიდნენ. ყოველად გაუგებარი ხალხია: დგახარ შენთვის, მოვლენ, ჩაგვირებიან, „ამ უბნელი ხარ, ძმაო“, „სად სწავლობ, ბრატუხა?“, „თავის ხო არ იცნობ?“ არაო, — რომ ეტყვი, მოგახლის, — ჰოდა, ჩვენ მისი ახლობლები ვართ, „სი-მონ“, და აქაურები ვართ, კაი ბიჭები ვართ, უცხოები კი არა, „ბრატო“. ადგები და ზრდილობიანად გაუღიებ, ძალიან სასიამოვნოაო. ჰოდა მაგარ უსიამოვნებაში ვართ, ძმაო, — აგრძელებენ და რატომღაც ვალდებული ხარ, რომ დაიხმარო: ან „თავანი“ აქვთ ჩასაბარებელი, ან ძმაკაცი დაუჭირეს, ან გეტყვიან, „ქურდულს“ სჭირდებაო. ერთხელ, ერთმა მითხრა, ძმაკაცი მუცელში დამიჭირა, გაგვრენა განუვითარდაო. გამეცინა, აბა, რა იქნებოდა-მეთქი. ამ ვაჟკაცმა, ჩემი ძმაკაცის გაჭირებას დასცინი, ბიჭო? ვუთხარი, შენ ძმაკაცს კი არა, შენ დაგცინი-მეთქი და 8-9 კაცმა „ვაჟკაცურად“ მირტყა. მოკლეთ, ვუხარხარებები არიან, არც თვითონ ცხოვრობენ მშვიდად და არც სხვას აცლიან. იმ გოგოებს, რომლებსაც ასეთი ბიჭები მოსწონთ, ვუსურვებ, რომ მთელი ცხოვრება მათთან ერთად გაატარონ — მეტის ღირსნი მაინც არ არიან! „გაბეზულებს“ გოგოსთან ერთად სიარულის მანერა აქვთ გადასარევი: ჩამოვიკიდებიან კისერზე, საწყისი გოგო წელზე შემოხვევს ხელს და ვაჟკაცი მისი სათრევი...“

სამა, 62 წლის: „— პროფესორი ვარ, წლებია, ლექციებს ვკითხულობ, ჩემს ხელში როგორ ბავშვს არ გაუვლია, ცუდიც მინახავს და უარესიც, მაგრამ ასეთები, შვილო, არასოდეს შემხვედრიან! „გაბეზულები“ კი არა, რაც გინდა, ის დაარქვით, ის, რაც მაგათ სჭირთ, განგრენა — თუ არ უმკურნალე, ყველას გადაეძება. ყველაფერი განათლების ნაკლებობის ბრალია. საერთოდ, ადამიანი რაც ნაკლებად განათლებული, მით მეტია საფრთხე, რომ ეგ სიტყვა გახდეს... ქუჩას კარგი რომ მოჰქონდეს, ვინ დამასწრებდა? დავდგე-ბოდი, პატრონო, მეც ქუჩაში, მაგრამ მაგაში ხიერი არ ყრია! გაიძინა, „კაი ბიჭები“ ვართ, კაი ბიჭებიო“. „კაი ბიჭები“ კი არა, სხვისი დამჩაგვრელები და ქვეყნის დამაქცევლები არიან“.

თამა, 20 წლის: „— რაც გინდა, ფიზიკურად მომწონდეს, ვერ ვიტან „გაბეზულებს“ — მაგათი მხოლოდ სახეები კი არა, ხმაც და ლაპარაკიც მზარავს — ხმოვნებს რაღაცნაირად წელავენ, ბოლოს კი, არბილებენ. დიდი საცოდავი ხალხია, თუმცა ვითარდებიან: 90-იანებში, როგორც ვიცი, მხოლოდ ქუჩაში იყვნენ ჩაცუცქულები და „ნე პლაჩ როდნაია მან“-ს უსმენდნენ, ახლა კი, ბარებშიც დადიან და დისკოთეკებზეც. ბარი ვაითხა და ჯო კოკერს უსმენენ ნამდვილი „გაბეზულები“ და ამაზე მეცინება... ისე, მგონია, რომ ყველაზე დაბოლოები არიან, ვითომ სხვას არ აქვს სიცოცხლის უფლება. ურთიერთობა არასოდეს მექნება. ჩემი ის დაქალებიც მეცოდებიან, ვისაც „გაბეზულები“ მოსწონთ!“

მოამზადა ზამა ღიზრაძემ



ლექსიკონი.
სქოლიო-სქოლიო. ქოლი-სქოლიო

„შენ – უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც სომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელი – ქართული სიტყვაც, ქართული სიტყვაც“

ვილიამ ჯონსონი



**ჟან-კლოდ ვან დამს
ოჯახური პრობლემები აქვს**

ჰოლივუდის „ბოვიკების“ ვარსკვლავს ოჯახური პრობლემები აქვს – გლედის პორტუგეზ ვან ვარენბერგმა გადანყვიტა, ჟან-კლოდ ვან დამს ისევ გაშორდეს. ჰოლივუდური გამოცემების ცნობით, ქალმა განქორწინების მოთხოვნით ლოს-ანჯელესის სასამართლოს უკვე მიმართა.

„ჩვენ შეურიგებელი უთანხმოება გვაქვს“, – ამბობს მსახიობი და ერთ დროს პროფესიონალი ბოდიბილდერი გლედის პორტუგეზი, რომელსაც ქმართან უთანხმოება ადრეც ჰქონდა.

შეგახსენებთ: ჟან-კლოდ ვან დამი და გლედის პორტუგეზი 1987 წელს დაქორწინდნენ, 1992 წელს კი, გაიყარნენ. 1999 წელს შერიგდნენ.

წყვილს ორი შვილი – 27 წლის კრისტოფერი და 24 წლის ბიანკა ჰყავს.



**ჰოლივუდში „ფრითი ვუაინის“
25 წლის იუპილეს აღნიშნავენ**


ზუსტად მეოთხედი საუკუნის წინ მსოფლიო კონოტატრები ჯულია რობერტსისა და რიჩარდ გირის სასიყვარულო ამბავმა დაიპყრო – ჰოლივუდში ფილმ „ლამაზმანის“ 25 წლის იუბილეს აღნიშნავენ.


გირი ახლა 65 წლისაა, ჯულია – 47-ის, ფილმის რეჟისორი გარი მარშალი კი, – 80-ის.

„თავდაპირველად, ვაპირებდი, რომ სურათი ნარკოტიკებსა და პროსტიტუციაზე ყოფილიყო და „ჰეფი ენდი“-თ არ დამთავრებულყო: ფინალში, რიჩარდის გმირს ჯულიას გმირი მანქანიდან უნდა გადმოეგდო და ფული მიეყარა, თუმცა რიჩარდსა და ჯულიას შორის ისეთი „ქიმია“ შედგა, რომ მათი ამბავი არარომანტიკულად ვერ დასრულდებოდა“, – ამბობს რეჟისორი.

რიჩარდ გირის თქმით კი, როლზე ჯულიამ დაითანხმა.

„ყველას მოგვონდა სცენები, სადაც ჯულია მოკლე კაბით დადიოდა – ყველა მხოლოდ მის ფეხებს ვუყურებდით“, – ამბობს მსახიობი.





www.artuka.com
საქართველო, ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. 101

„შენ – უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა; დიდება შენდა, ჩემო ნათელი – ქართული სიტყვავე, ქართული სიტყვავე“

ვახტანგ კვიციანი

თინა კანდელაკს ფინანსურ მანიპულაციებში ახედავს

„ბიზნესში წასვლის შემდეგ, ჩემი კომპანიის საქმიანობის არაკომპეტენტური შეფასებები დიდი ხანი მაღიზიანებდა. საერთოდ, ხშირად ისინი გაკრიტიკებენ, ვისაც ბიზნესი არასოდეს უფიქრობდა და არც იურიდიული თუ ფინანსური განათლება აქვთ“, – ეს განცხადება ერთ-ერთ სოციალურ ქსელში რუსული ტელემედიის ქართული წარმომავლის ვარსკვლავმა, თინა კანდელაკმა მას შემდეგ გააკეთა, რაც ბრალი ფულის გათვორებაში დასდეს.

„რუსეთში ყველაზე ძლიერ საკომუნიკაციო კომპანიას ვაშენებ და ამიტომ დრო არ მაქვს, გამაღიზიანებელ კომენტარებს ყურადღება მივაქციო. თუ ჩემთან პრობლემა სამართალდამცავებს მართლა აქვთ, ჩემი იურიდიული დეპარტამენტის უფროსი, ნაძეჟა ტიტოვა მზადაა, საჭირო საბუთები წარმოადგინოს და კომპანიის ნებისმიერი გადაწყვეტილება დაამტკიცოს. მეც მზად ვარ, ჩემი ქმედებები ავხსნა. სხვა შემთხვევაში, როგორც კომპანიის პრეზიდენტი, არ ვაპირებ პასუხი შემთხვევით გამგელებს გავცე“, – აცხადებს კანდელაკი.

„იესოს გეგმავს“ – ახალი ფილმი ქრისტიანული

რამდენიმე დღის წინ, National Geographic-მა მაყურებელს 3-საათიანი ბიოგრაფიული ფილმის – „იესოს გეგმავს“ პრემიერა შესთავაზა. ფილმში, რომელიც იესოს ცხოვრებაზე მოგვითხრობს, მთავარ როლებს ჰაბა სლაიმანი, ემანუელ შრიკი, ტამისინ ეგერტონი, რუფუს სიუელი, სტეფან მოიერი, კელსი გრემარი, ეონ მაკენი და სხვები ასრულებენ.

ფილმის აღმასრულებელი პროდიუსერი რეჟისორი რილდი სკოტი გახლავთ.

ოზი ოსბორნის ქალიშვილი ანჯელინა ჯოლის ბაბაჰს

კელი ოსბორნი, რომელიც სახელგანთქმული ამერიკელი მომღერლისა და მსახიობის, ოზი ოსბორნის ქალიშვილია და რომელიც საზოგადოებამ ტელეწამყვანობით გაიცნო, ანჯელინა ჯოლის მსგავსად, კიბოს პრევენციის მიზნით, საკვერცხების ამოჭრას გეგმავს.

„მე კიბოს გენი მაქვს, – ამბობს ოზის ქალიშვილი, – მას შემდეგ, რაც ტესტირება გაიარა და ორმაგი მასტექტომია გაიკეთა, დედამ გვთხოვა, რომ ჩვენც ასე მოვექცეულიყავით. თუკი ოდესმე შვილები მეყოლება, მინდა, მათთან დიდხანს ვიყო და ამისთვის ყველაფერს გავაკეთებ, ამიტომ აღფრთოვანებული ვარ ანჯელინა ჯოლის საქციელით“.

შეგახსენებთ: 2002 წელს, კელის დედას, შერონ ოსბორნს მსხვილი ნაწლავის კიბო დაუდგინეს, თუმცა ქალმა დაავადება დაამარცხა, 2012 წელს, შერონ ოსბორნმა, კიბოს პრევენციის მიზნით, ორივე მკერდი მოიკვეთა.

იოსებ კობახიძის რძალი ძმარს ღალატობს

რამდენიმე წლის წინ, იოსებ კობახიძის ვაჟმა კორეელ ლამაზმანზე, ანასტასია ცოიზე იქორწინა. რუსეთის სახალხო არტისტი რძალს იმის გამო აქებდა, რომ მემკვიდრე აჩუქა, თუმცა კობახიძის „ოჯახური იდილია“ დაირღვა – მართალია, ანასტასია, რომელიც დამწყვები მსახიობია, ცდილობდა, დაემალა, მაგრამ მოგეხსენებათ, „არ არსად იდუმლო, რომელიც არ გაცხადდეს“. ჰოდა, უკვე მთელმა ქვეყანამ იცის, რომ კობახიძის რძალი ქმარს ერთ-ერთი სასწავლებლის სტუდენტთან ღალატობს...

ავსტრალიაში ტყუპების ფსტივალის გაიხატა

ავსტრალიაში, კერძოდ, ქალაქ მელბურნში უჩვეულო ფესტივალის ჩატარება – საზოგადოების წინაშე ტყუპები წარსდგნენ. ფესტივალს 3 000 ადამიანი დაესწრო.

„შესანიშნავი ღონისძიებაა – კარგად ვიხალისეთ“, – აცხადებენ ფესტივალის მონაწილე ტყუპები.

მოდის სამყაროს არაბი პრინცესა

დენა აბდულაზიზი არაბი პრინცესაა, რომელიც მოდის სამყაროში ერთობ პოპულარულია. დენა ფოტოგრაფების წინაშე ყოველთვის სიამოვნებით პოზირებს. მოდის გავლენიანი ჟურნალი „ვოგ“ კი, არაბი პრინცესას დახვეწილ სტილზე ხშირად წერს და „მოდის ყველაზე გამორჩეულ პრინცესას“ უწოდებს.

„ბატების წვიმა“

რასაც ასლა ნაიკიტხავთ, უდავოდ, გაგაოცებთ: ციდან, რამდენიმე საათის განმავლობაში, გარეული ბატები ცვიოდნენ. „ბატების წვიმა“ აიდაჰოს შტატში მოვიდა. აღსანიშნავია, რომ ციდან ჩამოვარდნილი ყველა ბატი მკვდარი იყო.

როგორც ლაბორატორიული ანალიზით დადგინდა, ბატების დაღუპვის მიზეზი ე.წ. ფრინველების ქოლერაა.

სანიტარულმა სამსახურმა მკვდარი ფრინველების უტილიზაცია მოახდინა.

ბრიუს უილისს 60 წელი შეუსრულდა

სახელგანთქმული ჰოლივუდელი ბრიუს უილისის 60 წლის გახდა.

ბრიუსი დასავლეთ გერმანიაში, კერძოდ, იდარ-ობერშტაინში, ამერიკელისა და გერმანელის ოჯახში დაიბადა. მსახიობობა ადრეულ ბავშვობაში გადამწყვეტა – 8 წლის უკვე სამოყვარულო დრამატულ სტუდიაში დადიოდა. მოგვიანებით, სიმღერაც სცადა – ბლუზის ანსამბლში მღეროდა.

მე-20 საუკუნის 80-იან წლებში, მომაგალმა ვარსკვლავმა სერიალში – „მთვარის შუქი“ როლი მიიღო. სერიალმა, რომელიც აშშ-ში 1985-1989 წლებში გადიოდა, უილისს დიდი პოპულარობა მოუტანა – ქალების გულთამყრობელი გახდა.

1987 წელს ბრიუსი ჰოლივუდშიც შეამჩნიეს და რეჟისორმა ედვარდსმა კომედიაში – „ბრმად პაემანი“ მიიწვია.

კიანუ რივზის ღოსი

ბავშვობაში, რომელიც კანადაში, სახელდობრ, ტორონტოში გაატარა, ტრავმა რომ არ მიეღო, დღეს ჰოლივუდის კი არა, შეიძლება, ჰოკეის ვარსკვლავი გამხდარიყო, მაგრამ ნათქვამია, ზოგი ჭირი მარგებელიაო. მოკვლად, სახელოვან ჰოკეისტობაზე მეოცნებე კიანუ რივზი გადასაღებ მოედანზე აღმოჩნდა და მსოფლიოს კინომანთა გულებიც დაიპყრო.

მსახიობს უჩვეულო სახელი – კიანუ, რომელიც ჰავაურად „მთის გრილ ნიავს“ ნიშნავს, ბაბუის საპატივსაცემოდ დაარქვეს.

ვარსკვლავს, რომელმაც შრომითი საქმიანობა 17 წლის ასაკში, მაკარონის მაღაზიის მენეჯერობით დაიწყო, სიბნელის ეშინია, სამედიცინო ცეკვები, სერფინგი და ჯირითი უყვარს.

სხვათა შორის, კიანუ, რომელიც ცაციაა, სიკვდილს რამდენჯერმე გადაურჩა – ავტოკატასტროფაში მოჰყვა და ხერხემალში დღესაც ფოლადის ფირფიტა აქვს.

ვარსკვლავი პროფესიონალი გიტარისტიცაა...



ნავიდაა...

მძულს ამათი ლაღანი და ამათ ლაღანს ვინ მოშლის, აქ დარჩენა აღარ მინდა, მინდა საიქიოში. აქ მომბეზრდა ხეტიალი, გესლიანთა გესლობა, იქ არც პარლამენტი არის და არც „უმცირესობა“.

მიხედით გოგას

ეშმაკო, ჩვენი ნილხვედრო, თუ ბოზა ქართველს ართმევს ქმარს, ჯერ ბოზას უნდა მიხედოთ, მერე კიდენა – ქართველ ქალს.

წვერი

ყველას ყველაფერს დრო უშლის, მე ვინმეს რამეს არ ვუშლი, მე წვერი კი არ მოვუშვი, მიდიოდა და გავუშვი.

„კულინარიული დუელი“? – უფრო კარგს ნურაფერს ნუ ელი!

აბა, ვინ არის?

საზღვარგარეთ გავხარ ახვარს, ტვინი? – არც ნატაბალი, მშიშარა ხარ, ტრაბახა ხარ, თანაც – ამპარტავანი.

ტავერნა


კიევში, ალბათ, „ნავერნა“, სულ რაღაც სამი კინტოა, კიევი გახლავთ ტავერნა, – მიშიკოს სამიკიტნოა!

ტალანტი, ანუ ნიჭი

შენ ვერ მონახავ თანატოლს, სულ შურიანობ, სულ იჭვობ, თუმცა, ბერძნულად „ტალანტობ“, ქართულად გქვია უნიჭო.

დაბრუნება

მიდი-მოდიხარ მარშით, გკლავს ადოლფური ფიქრები, შენ დაბრუნდები მაშინ, როცა შე აღარ ვიქნები.



49 წლის სინდი კროუფორდი გაშიშვლდა

მან მსოფლიო მე-20 საუკუნის 90-იან წლებში დაიპყრო – თითქმის არ არსებობდა მამაკაცი, რომელიც სინდი კროუფორდზე არ ოცნებობდა. მართალია, ერთ წელიწადში 50-ის გახდებდა, მაგრამ „პოდიუმის დივა“ მაინც სუპერფორმაშია. ყოველ შემთხვევაში, სინდის არ რცხვენია, რომ ფოტოკამერების წინ გაშიშვლდეს და ამას მისი თამამი ფოტოსესიაც მოწმობს: მალიბუს სანაპიროზე თითქმის გაშიშვლდა.



თბილისის პირველი კლინიკური საავადმყოფოს (ყოფილი „არამიანცის“) ეივლები – „ეპერჯენსი“



დიზაინის საავტორო უფლებები დაცულია



მთავარი რედაქტორი: ჯანსუღ ჩარკვიანი
მთ. რედაქტორის მოადგილე: ვანო პავლიაშვილი
სარედაქციო კოლეგია:
ჭაბუა ამირაშვილი, მირაზ ბერძენიშვილი,
ბაჩანა ბრეგვაძე, თეიმო გოცაძე, ეზარა კვიციანიშვილი,
არგაზ სანუაშვილი.

მედია-ჯგუფი: მარიამ კახაძე,
ნათია გომიტიძე, ნათია ვერძელი,
ნათია ლუბანიძე.
დიზაინერი და ფოტოკორექსორდენტი:
ზურა მებრეღვიანი.

ბაზათი რამისტრიკოვსკის რამიონალური ცენტრის (საბაღასახალო ინსაიტის) მიერ. რამისტრაციის №22851
მისამართი: 26 მაისის მოედანი. №1
ტელ.: 272-63-90
E-Mail: qartulicityva@gmail.com
ბაზათი მომედოვს თბილისის პირველი კლინიკური